

# ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის გაზეთი

№ 11

პირველი  
ტომი

1931

# მკედარი

## Mkedari

ქართული იუნკერთა  
კავშირის ორგანო

Organe des Aspirants Géorgiens

პარიზი, ოქტომბერი, 1931 წ.

№ 11

PARIS

1931



† პროკოფი აბულაძე

ამა წლის სექტემბრის 22-ს ქ. ნიცაში (საფრანგეთი), საავადმყოფოში, გარდაიცვალა ყოფილი იუნკერი პროკოფი ქაიხოსროსძე აბულაძე.

პროკოფი დაიბადა ქ. ქუთაისში 1898 წ. მან დაასრულა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია და შევიდა ტფილისის უნივერსიტეტში.

როგორც კი გამოცხადდა ქართული სამხედრო სასწავლებლის დასაწყისი, იგი ჩაეწერა ამ უკანასკნელში. მან მონაწილეობა მიიღო სკოლის ყველა გამოსვლებში და ბოლშევიკური რუსეთის შემოსევის შემდეგ, დანარჩენ იუნკრებთან ერთად დასტოვა საქართველო და გაიხიზნა უცხოეთში. პროკოფიც იმყოფებოდა საბერძნეთის სამხედრო სასწავლებელში გაგზავნილ იუნკრების სიაში. 1923 წლის დასაწყისში სხვებთან ერთად მოეწყო პოლონეთის სამხედრო სასწავლებელში. 1924 წელში მან დაანება თავი სამხედრო სამსახურს და ჩაერიცხა ვარშავის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ განყოფილებაზე. სხვა და სხვა მიზეზის გამო პროკოფიმ მიატოვა პოლონეთი 1929 წელში და წავიდა საფრანგეთში, სადაც მისი ცხოვრება ისე ვერ მოეწყო, როგორც ამას ფიქრობდა. და აი, საფრანგეთში ქართველთათვის გათხრილ ბევრ საფლავს მიემატა მისი საფლავიც....

## იუნკერთა სამართო მეგობრის ხსოვნას

აღარ არის... ვეღარ ვიხილავთ მის გულკეთილ ღიმილს... ვერ ჩავიხედავთ მის სევდიან თვალებში... პროკოფი, ჩვენი საუკეთესო მეგობარი განისვენებს სამუდამოდ....

ყველა, ვინც კი გაიცნობდა პროკოფის, მასში უსათუოდ ჰპოულობდა ძველ ქართულ სულს, გრძნობას, თავდადებას, სისპეტაკეს. მთელი იუნკრობა მასთან მეგობრულ კავშირში იყო და მას შეეძლო ყველასი მეგობრობა. პროკოფის სძულდა ორჭოფობა, სძულდა ინტრიგობა, სძულდა შურიანობა. გულწრფელი, ნაზი ბუნების, აღსავსე კეთილი გრძნობებით... მეგობრობა მას ესმოდა როგორც ძველ რაინდებს. დღეს ასეთი მეგობარი გამოაკლდა ჩვენს წრეს. დიდი, შეუთვისებელი დანაკლისი...

იუნკრების ცხოვრებაში პროკოფიმ ითამაშა დიდი როლი. მთელი მისი აზრი მიისწრაფოდა იუნკერთა ერთიანობის, ერთსულოვნების შესანარჩუნებლად, განსამტკიცებლად. ის არის ერთ-ერთი ინიაციატორი

იუნკერთა კავშირის დაარსებისა საზღვარგარედ, არის მთავარი მძღვანელი იუნკერთა კავშირის ორგანოსი: „მხედარი“-ს, მონაწილე-ბას ღებულობდა „კავკასიონ“-ში, სადაც იგი თავისი გვართა და რეო ამონის ფსევდონიმით ათავსებდა მშვენიერ ლექსებს, სამშობლოზე ნა-ზი სევდით და ტკბილ-მწარე მოგონებებით აღსავსეს...

იუნკრებს ამ დიდი მწუხარების წინ, რომელსაც იწვევს ყოველ ჩვენგანში პროკოფის ასე უდროოდ დაკარგვა, გემართებს მისი ხსოვნის პატივსაცემად. უფრო მეტად გავიმსჭვალთ იმ წმინდა გრძნობებით და მისწრაფებებით, რომელნიც ასულდგმულედენ ჩვენს ძვირფას და და-უვიწყარ მეგობარს...

## პროკოფი აბულაძე

### (უსათაურო) \*)

თუ ვერ ველირსო, არ მოვესწარი  
ენახო მამული და მტკვრის პირები;  
თავს წამეფაროს ცივი ზეწარი  
ტიალ ქარების დანატირები...

თუ დავილუბო, აღარ დამცალდეს  
გადავირბინო ქართულ მიდვრებზე.

---

\*) პრ. აბულაძეს დარჩა ხელნაწერები, რომელთაგან ჩვენ აქ ვათავ-სებთ მისი სულიერი მდგომარეობისა და განცდების დამახასიათებელ ერთ მის უკანასკნელ ლექსს.

შევსვა ტკბილი ცა მიწით ზეცამდე,  
ვარსკვლავთა კრთომას ცხენით მივსდევდე...

ასე რომ მწადდა, მენატრებოდა  
თვალს დაელია მთა-წმიდის არე,  
როდესაც მთვარე ჩამოტკბებოდა,  
ისეთი ნაზი ტფილისზე მთვარე...

უკუღმართობით თუ აღარ იქნა,  
ვინ მოსთვლის! ბევრი... რაც მწამდა, მსურდა...  
უცხოობაში შემიპყრო ფიქრმა,  
ისე დამკუნთა, ისე დამსუღრა...

დამამწუხარა, ისე დამსურდა,  
თვით საპყრობილეთ თუ გადავიქცე;  
წავიდენ დრონი, მორჩა, დასრულდა...  
დავიწყებლო და ხატს გადავიცე...

ო, გევედრები! შენ შემიწყალე!  
ეს ქვეყანაა გეთსიმანია...  
ბევრი ვიარე, ბევრი ვეწამე,  
ო, გულკეთილო, დედა მარიამ!

## წითელი არმია

(დასასრული)

11

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ბოლშევიკები წითელი არმიის სოციალურ შემადგენლობას. ისინი ხელოვნურ ზომებს იღებენ, რათა წითელი არმია იყოს მუშებისა და გლეხების, არა მარტო სახელით, არამედ შემადგენლობითაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონით წითელ არმიაში ვერ მოხვდებიან არა მშრომელი ელემენტები; ამიტომ იგი შესდგება უმთავრესად გლეხებისა და მუშებისაგან. წითელი არმიის რეგულიარულ ნაწილში, რომლის საერთო რიცხვი უდრის 562 ათასს, 1927 წელს გლეხები შეადგენდნენ 83, 1 პროცენტს, მუშები — 12, 1 პრ. და ყველა სხვა დანარჩენი — 4, 8 პრ. უკანასკნელი ცნობით 1930 წლის არმიის შემადგენლობა შემდგენაირად შეიცვალა: მუშები — 28, 7 პროც. მოჯამაგირენი — 3, 8; კოლმეურნელები და სხვა გლეხები — 42, 6 და დანარჩენები — 10 პროცენტი.

ჩემის აზრით, 1927 წ. სტატისტიკური ცნობა უფრო სისწორით გამოხატავს წითელ არმიის სოციალურ შემადგენლობას და ეს იმიტომ, რომ 1931 წ. გამოქვეყნებული ცნობა ხელოვნურია. „კოლხოზნიკობა“ და „ბატრაკობა“ არ წარმოადგენს ცალკე წოდებას, ისინი ყველა ეკუთვნიან გლეხობას. გარდა ამისა, მუშები, რომელთაც ზოგჯერ ძალით და ზოგჯერ ნებით ერეკებიან „პროლეტარიატის წოდებაში“, თავისი მუშური ღირსებით ძლიერ დაბლა სდგანან, ვინაიდან მათ გუშინ დასტოვეს ის კლასი, რომელსაც ეკუთვნოდნენ. და დასტოვეს არა შეგნებით, არამედ იძულებით, რათა ამით გაიადვილონ არსებობისათვის ბრძოლა და თა-

ვიდან აიშორონ ის რისხვა, რომელსაც დევნილი კლასები განიცდიან საბჭოთა კავშირში. ცხადია ეს ფენები თავისი შეგნებით და ფსიქოლოგიით უფრო ახლოს სდგანან ამ დევნილ კლასებთან, ვინემ პროლეტარი-ატთან, რომელთა რიცხვს ბოლშევიკური სტატისტიკოსები ხელოვნურად ბერავენ.

აქედან მე იმის თქმა მსურს, რომ გლახობა, რომელიც საბჭოთა კავშირის მცხოვრებთა დიდ უმეტესობას წარმოადგენს, წითელ არმიის უმეტესობას (80 პროცენტს) შეადგენს. ამას უნდა დაემატოთ ისიც, რომ ე. წ. „ვიდვიენცები“ და ახალი მეთაურები უმთავრესად გამოსული არიან გლახთა წრეებიდან.

ყველა ამის გამო თამამად შეიძლება ითქვას, რომ წ. არმია თავისი სოციალური შემადგენლობით და ფსიქოლოგიით ნამდვილი გლახურია. უფრო გლახურია, ვინემ მეფის ჯარი იყო. მე აქ განგებ არ ვლაპარაკობ შეგნებაზე. ეს სხვა კითხვაა, მასზე ცალკე ვიტყვი.

წითელი არმიის გლახური შემადგენლობაში ხედავენ ბოლშევიკების მოწინააღმდეგენი იმ მტკივან ადგილს, რომელზეც წითელმა დიქტატურამ კისერი უნდა მოიტეხოს. ასე ფიქრობს ემიგრაციის უმეტესობა და მათ შორის ცნობილი მემარცხენე ლიტერატორი, „წითელი არმიის“ ავტორი სტ. ივანოვიჩი. ის ვითომ მარქსისტულად მსჯელობს და ფიქრობს, რომ გლახური არმია კომუნიზმს ვერ შეითვისებს და ამიტომ ვერ გახდება კომუნისტების დასაყრდნობ ძალადო. რომ წითელი არმია კომუნიზმის იდეის შეგნებული მატარებელი და დამცველი ვერ გახდება, ეს სხვა საქმეა. მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ წ. არმია დღეს ბოლშევიკებისთვის საშიში ძალა არის, ეს კიდევ კითხვაა.

ჩემის აზრით ეს შემცდარი შეხედულება არის. ბოლშევიკებისათვის სწორედ ხელსაყრელია ის, რომ წითელი არმიის მასსა გლახურია. არც ერთი კლასი რუსეთში ისე ჩამორჩენილი, უკულტურო და შეუკავშირებელი არ არის, როგორც გლახობა. რევოლუციამ იგი გამოაფხიზლა, საზოგადო ასპარეზზე გამოიყვანა, მაგრამ მან, როგორც კლა-

სმა პოლიტიკურად დარაზმევა ვერ მოასწრო და ბოლშევიკებმა მას ისევ დაადგეს მონობის უღელი.

ამისი მთავარი მიზეზი არის რუსის სოფლის საერთო ჩამორჩენილობა და რუსეთის სიდიდე. ორივე ეს ხელს უშლის გლეხობის პოლიტიკურად გაწვრთნასა და შეკავშირებას. ყველა ამის გამო რუსი გლეხი ყველაზე საუკეთესო ცოცხალი მასალა არის სამხედრო დისციპლინისათვის და პოლიტიკურად დასამუშავებლად. აქ ყოველგვარი დიქტატურა ნოყიერ ადგილს პოულობს. განაკულაქების გამო გამოწვეული არმიელების ცალ-ცალკე ბუზღუნნი კარგი ნიშანია, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ წითელმა არმიამ გლეხების ინტერესები სავსებით შეიგნო და მისი პოლიტიკური უფლებებისათვის იბრძოლებს. ყაზარმაში ბუზღუნებს, ხოლო როცა ბოლშევიკები უბრძანებენ, სოფელში მიდის და გლეხთა აჯანყებას აქრობს.

ბოლშევიკებს საშუალება აქვთ საბჭ. კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე აწარმოონ წ. არმიის თავისუფალი გადაჯგუფება. გარდა ამისა, ყველა იმ ცოცხალ და ენერგიულ ელემენტებს, რომელსაც გლეხობა იძლევა, ბოლშევიკები „ვიდევიენცების“ სახით წურბელასავით სწუწუნთან გლეხობას და ხდიან მართველი წოდების მოზიარეთ. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ არც ერთი წოდება ისე ადვილად არ უარყოფს თავის წრეს, როგორც გლეხი. უმეტეს შემთხვევაში მისი ცდა არის მიმართული არა იქით, რომ თავისი კლასი გახადოს სრულუფლებიანი, არამედ გამოვიდეს აქედან და მიეწეროს სხვა კლასს. წინედ იგი სცდილობდა გამხდარიყო აზნაური ან ბურჟუა, ესლა იგი სცდილობს გახდეს კომუნისტი. მართალია, ზოგიერთ ერში, როგორც არის ჩენია, პოლონეთი, სკანდინავიის სახელმწიფონი და სხვანი, გლეხობა მომწიფდა პოლიტიკურად, როგორც ცალკე კლასი, მაგრამ რუსეთში ამ დონემდე მას ჯერ კიდევ არ მიუღწევია. ეს არასოდეს არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან, როცა რუსეთზე ვლაპარაკობთ.

რამდენიმედ ამ ცალ-მხრივ შეხედულებას იზიარებენ ბოლშევიკებიც და ამიტომ ისინი ყოველ დონეს ხმარობენ, რათა ხელოვნურად

გამუშურონ წ. არმია. რომ სინამდვილეში ეს ასე იყოს და იგი მოხდებოდეს, მაშინ ბოლშევიკები უფრო ადრე დაეცემიან, ვინემ სხვა პირობებში. დღეს მაინც უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ მუშები საბ. კავშირში შედარებით უფრო შეგნებული და შეკავშირებული აიიან, ვინემ დანარჩენი კლასები. ისიც ცხადია, რომ არავინ თავს ისე არა გრძნობს ბოლშევიკების მიერ მოტყუილებულად და ამ უამად არ განიცდის დიქტატურის სიდუხჭირეს, როგორც მუშა. არც ერთ კლასში არ ნახულობს ისე ფართო გამოძახილს ყოველგვარი უკლონები, როგორც მუშებში. რომ ჯარში მათი გავლენა მართლა გაიზარდოს და არა თანამედროვე აშორდიას აზნაური მუშებით. მაშინ ბოლშევიკებს მართლა დაუდგებათ საფრთხე წითელი არმიის მხრით. ასეთ პირობებში მუშები და ქალაქი, რომელმაც რევოლუციას უნდა უხელმძღვანელოს, ადვილად შესძლებენ წითელ არმიასთან დაკავშირებას.

არ უნდა დავივიწყოთ ის. რომ რევოლუციაში ბოლშევიკები წინა რიგში წამოსწიეს გლენხმა ჯარისკაცებმა და მატროსებმა და არა მუშებმა. მელითონეების, ასოთ-ამწყობთა და რკინისგზელების კავშირი მათ ჩეკისტების საშუალებით დაიბურეს. ეს ვითარება გრძელდება დაახლოვებით დღესაც. ხოლო 80 მილიონ გლენხოზაში დიქტატურა შოულობს ერთ მილიონ ელემენტს, რომელსაც იგი აიარალებს და რაზმავს თავის ჭკუაზე და მით იმორჩილებს 150 მილიონიან საბჭოთა კავშირს.

სულ სხვა სურათი შეიქმნება თუ ბოლშევიკებს ომი მოუხდათ და საერთო მობილიზაცია გამოაცხადეს. შეირალებული გლენხოზა ყველა ხელისუფლებას სტიქიურად წალეკავს, რომელიც მის ეკონომიურ ინტერესებს არ შეეფერება.

ასეთი შესაძლებლობა ბოლშევიკებს მხედველობაში აქვთ დ ამიტომ ყოველი საშუალებით სცდილობენ გაანადგურონ გლენხოზა, როგორც კლასი. კოლექტივიზაცია სოულის და რეპრესიები გლენხოზის მი-

მართ გამოწვეულია მომავლის შიშით და არა არსებული საფრთხით. მათ უნდათ, რომ საგარეო ომის დროს შიგნით ხელი გაშლილი ქონდეთ.

ამავე დროს ბოლშევიკები ყოველი მხრით იღებენ ზომებს, რომ გლეხური წითელი არმია თავის ჭკუაზე გარდაქმნან. ყაზარმა ერთადერთი ადგილია, სადაც მრავალ მილიონი გლეხობის ახალგაზდობა თავს იყრის. ბოლშევიკები ამ მდგომარეობას ფართოდ იყენებენ ერთის მხრივ ჯარის იდეურად მომზადების მიზნით და მეორე მხრით — სოფელზე გავლენის მოსახდენად. პოლიტ-მუშაობას წითელ არმიაში ისეთივე ყურადღება ექცევა, როგორც სამხედრო გაწვრთნას. დღეში მასზე იხარჯება 4 საათი, ხოლო სამხედრო გაწვრთნაზე — 5, მეფის დროის 8 საათის მაგიერ. და რომ პოლიტმეცადინობა შესაფერისად იქნეს დაყენებული, ამისათვის არსებობს პოლიტხელმძღვანელების ცალკე ორგანიზაცია, რომელიც წითელ არმიის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს.

შეიძლება ითქვას, რომ წითელი არმია ერთად ერთი არმია არის, სადაც პოლიტიკურად ჯარის აღზრდას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. წითელ არმიელი პოლიტიკის გარეშე აღარ სდვას. შეიძლება ზერელედ და ცალმხრივად იყოს იგი განვითარებული, მაგრამ იგი თავისი მთავრობის კურსში გარკვეულია. წ. არმიელის მსოფლმხედველობა დღეს გაცილებით უფრო ფართოა, ვინემ მეფის ჯარისკაცის იყო. წითელი მეთაური უფრო გაწვრთნილია პოლიტიკურად, ვინემ მეფის ოფიცერი იყო.

აი როგორ ახასიათებს ძველი არმიის ოფიცრობას გენერალი დენიკინი წიგნში: „სტარაია არმია“: „სახელმწიფო წესწყობილება აფიცრობისათვის იყო წინასწარ გადაჭრილი ფაქტი, რომელიც არ იწვევდა არც კრიტიკასა და არც ეჭვებს. ხოლო სოციალური საკითხები მისთვის არ არსებობდა. ასეთ ლიტერატურას ისინი არ კითხულობდენ და საერთოდ კი ცოტას კითხულობდენ“-ო. ამასვე სჩივის თავის მოგონებაში გენ. ბრუსილოვიც. ჯარისკაცმა არ იცოდა მსოფლიო ომში რისთვის იბრძოლა და შეკითხვაზე გიბასუხებდა — ვილაცამ ერეც-პერეცი მოკლა და ამიტომ ვიბრძვიო. რევოლუციის გამოცხადების დროს კი,

განაგრძობს ბრუსილოვი, ოფიცრობის უმეტესობას არ შეეძლო სოციალისტების უბრალო პოლიტიკური მოვლენა აეხსნა და მის თვალში ავტორიტეტი ყოფილიყო.

წინააღმდეგ სურათს ვხედავთ დღეს წითელ არმიაში. წითელი მეთაური და არმიელი „პოლიტგრაშოტას“ ისეთივე გულმოდგინებით სწავლობს, როგორც სამხედრო გაწვრთნას. ყაზარმა დღეს პოლიტიკურად აზროვნებს. ეს აზროვნება ცალმხრივია, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი ის არის, რომ იგი პოლიტიკაზე ფიქრობს, მას თვალ-ყურს ადევნებს და ის, რაც დღეს მას უდავო ჭეშმარიტებად მიაჩნია, ხვალ შეიძლება სადავოდ გახდეს.

გარდა ამისა, წ. არმია საზოგადოებიდან გათიშული არ არის, როგორც ეს ძველი არმიის დროს იყო. ბოლშევიკები თვითონ ცდილობენ დაუკავშირონ იგი ე. წ. საბჭოურ საზოგადოებას. წ. არმიელი ყაზარმის გარედ ცხოვრებაშიც ჩაბმულია. ერთი სიტყვით, წ. არმია პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებით არის გაეღწეული. ამას მოწმობენ ოფიციალურ დოკუმენტები და ამასვე იმეორებენ ყველანი, ვინც კი იცნობს წ. არმიის ცხოვრებას.

თუ რამდენად დიდია ბოლშევიკების პროპაგანდა ყაზარმაში, ამაში პირადად დავრწმუნდი 1921 წ. საქართველოს დაპყრობის დროს. წ. არმიელების მასსა წინასწარ იყო მომზადებული იმისთვის, თუ როგორ უნდა გაემართლებიათ საზოგადოების თვალში ბოლშევიკებს საქართველოს დაპყრობა და როგორ უნდა დაეჭირათ თავი წ. არმიელებს დაპყრობილ საქართველოში. ისინი იმეორებდნენ ბოლშევიკების ლიდერების ზღაპრებს — „ანტანტის უღლიდან გავათავისუფლეთ საქართველო“, „კაპიტალისტებისა და თავადაზნაურობის ბატონობა მოვსპეთ და მუშებისა და გლეხების დავამყარეთ“-ო. და სხვა.

წ. არმიელების ასეთი თავხედობა იწვევდა შესაფერ პასუხს ქართველი ჯარისკაცებისა და სახ. არმიელებისა. ბათუმიდან დაწყებული ტფილისამდე, ყველა სადგურზე იყო გაცხარებული კამათი და ჩვენები თვისი დამტკრეული რუსულით ისეთ მაგარ პასუხს აძლევდნენ, რომ

თვით წ. არმიელების პოლიტხელმძღვანელებიც უხერხულ, გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებოდენ. ქართველ მეომრებს შეურაცყოფილად მიაჩნდათ თავი, რომ ვიღაც „უნიფზო რუსი“ მათ ჭკუას ასწავლიდა. ჩვენი მხედრობის საღმა მსჯელობამ პირველად გამაკვირვა და ალტაცებაში მომიყვანა. ჩვენ პოლიტმუშაობა ან სულ არ გვქონდა ყაზარმებში ან ცუდად დ ამიტომ არ მეგონა, თუ ისინი ასე კარგად იყვენ გარკვეული დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის მნიშვნელობაში.

კიდევ უფრო გაკვირვებული დავრჩი, როცა ქუთაისში გადმომცეს — რომ სამხედრო რეგისტრაციის დროს, ქართველი ოფიცრობის 80 პრ. ანკეტის ფურცელში აღნიშნა, რომ იგი მენშევიკების პარტიას ეკუთვნი-სო. რასაკვირველია, ისინი მენშევიკები არ იყვენ, მაგრამ რადგან ამ დროს მენშევიზმი მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა, და მათ წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომები იყო მიღებული, ჩვენმა ოფიცრებმა მომენტი შესაფერისად დააფასეს და დემონსტრაციულად თავი მენშევიკებად გამოაცხადეს.

ორივე ამ ფაქტმა მე მაშინ დამარწმუნა ერთი იმაში, თუ რამდენად მალლა სდგას ქართველი ერი კულტურული და პოლიტიკური მომზადებით რუსეთზე და რა დიდი შეცდომა დავუშვით, რომ იგი შესაფერისად ვერ შევიახრალეთ და ვერ ვაბრძოლეთ. და მეორე მასში, რომ ბევრი ქართველი მხედარი რვოლუციონერებთან ერთად წავიდოდა ჭერ-ქვეშ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. მე დავრწმუნდი, რომ ქართველ ერს ბოლშევიკები თავისი „ავიტკით“ ვერ დაიპყრობდენ.

ეს მაგალითი მიტომ მოვიყვანე, რომ ამით მკითხველს დავანახო, რომ ბოლშევიკების პროპაგანდას აქვს თავისი საზღვარი, რომელსაც ისინი ვერ გადალახავენ. ეს არის ამა თუ იმ ერის მაღალი კულტურა და პოლიტიკური შეგნება.

ბოლშევიკური პროპაგანდის მთავარ ძარღვს შეადგენს კაპიტალი-სტური ქვეყნების აუგი და საბჭოთა კავშირის ქებათა-ქება. ისინი ცდილობენ, რომ წითელი არმია გააკომუნისტონ, საერთაშორისო პროლე-

ტარიატის არმიად გახადონ. მაგრამ რადგან კომუნიზმის იდეა ზემოქმედებით გლახურ არმიას ღრმად არ სწვდება გულში, ამიტომ ბოლშევიკებმა მას საბჭოური პატრიოტიზმიც დაუმატეს. რუსეთში დღეს საერთოდ არის ერთგვარი სიძულვილი ევროპისადმი. რუსეთის ხალხი თავის დამარცხებაში და არსებულ მის გაჭირვებულ მდგომარეობაში, სხვებით თუ არა, სანახევროდ მაინც, ბრალს სდებს ევროპას. იგი მზად არის მასზე შური იძიოს და თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ მისი სურვილია ევროპაც ისეთივე მდგომარეობაში ჩაეარდეს, როგორშიც თვით საბჭოთა კავშირი იმყოფება. ასეთ აზრსა და სურვილს თქვენ გაიგონებთ საბჭოთა კავშირში, ამასვე ლაპარაკობენ ხშირად ემიგრაციაშიც. „ძირმომპალ ევროპას“ აუგებენ არა მარტო ბოლშევიკები, არამედ რუსი ემიგრანტებიც, მცირედის გამოკლებით. განსაკუთრებით შოვინიზმს ფეხი აქვს მოკიდებული ახალგაზრდობაში.

ბოლშევიკები ცდილობენ რაც შეიძლება რუსის ხალხის ეს სულიერი განწყობილება თავის სასარგებლოდ გამოიყენონ. „არც ერთი გოჯას სხვისი მიწა ჩვენ არ გვინდა, მაგრამ არც ჩვენი მიწის არც ერთ გოჯას სხვას არ მივცემთ“-ო. განაცხადა დეკრეტიულად სტალინმა პარტიის მე-16 ყრილობაზე და მას შემდეგ მთელს ამ კავშირში იმეორებენ მას. სტალინის საბჭოური „ობორონცობა“ ისეთივე თაღლითობა არის, როგორც ერთ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების იდეა. მიუხედავად ამისა, „საბჭოური პატრიოტიზმი“ ბოლშევიკების ხელში აუცილებელი მაგარი კოზირია.

### 13

წითელი არმია უფლებრივი მხრითაც დიდათ განსხვავდება ძველი არმიისაგან. წ. არმიელი დღეს ის „ნიჟნი ჩინი“ აღარ გახლავს, რომელსაც ძაღლებთან ერთად ბაღში სეირნობა ეკრძალებოდა. წითელ-არმიელობა დღეს საპატივცემულო სახელია, და მას ამით თავიც მოაქვს. წ. არმიელი დღეს საბჭოურ საზოგადოებაში „მიღებულია კაცია“ და მას

ყველგან აფასებენ. გარდა ამისა, მას წითელი-არმიელობა პრევილენციებს ანიჭებს და საშვალეებას აძლევს მართველ კლასში ჩაერიცხოს.

დისციპლინაც თავისებურია. სამსახურის ასრულების დროს მაგარი დისციპლინა არსებობს და მას ყველა ემორჩილება. მაგრამ ეს დისციპლინა არა ჰგავს ძველი ყაზარმის „დერჟიმორდობას“. სამსახურის გარედ წითელი არმიელი ისეთივე მოქალაქეა, როგორც მისი მეთაური და დანარჩენები. მას დღეს არ ეშინია არც ბაღში სიარულის, არც თეატრში წასვლის და არც ტრამვაიში დაჯდომის. იგი ხშირად თავის მეთაურებთან ერთად კლუბში ზის და საერთო საკითხებზე მსჯელობს. „ტოჩნო ტაკ“ წითელი არმიის ლექსიკონში აღარ არსებობს. წითელი მეთაური წითელ არმიელს ცხვირში ვერ სცემს მისთვის, რომ მან სალაში ცუდათ მისცა.

წითელი არმიელი უეჭველია ამ თავის მდგომარეობას აფასებს და როგორც საქმის მცოდნენი გადმოგვცემენ, იგი ცდილობს რაც შეიძლება თავაზიანი და ზრდილი იყოს. რასაკვირველია ყველაფერი ეს შედარებითია.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის ყაზარმა დღეს იგი არ არის, რაც ძველად იყო. წითელ არმიელზე დღეს მეტს ზრუნავენ, ვინემ მეფის სალდათზე ზრუნავდენ. ყაზარმა უფრო სუფთა და მოწყობილია, და ლოგინების რიცხვი ოთახში უფრო მცირე, ვინემ წინედაქვთ გასართობები და სამკითხველოები. ალბად არასოდეს ამდენი გაზეთი ყაზარმაში არ იკითხებოდა. ყველა არმიამი გაზეთის კითხვა სალდათისათვის დანაშაულად თუ არა, ნაკლად მაინც ითვლებოდა. ეხლა კარგი წითელი არმიელი ის არის, რომელიც ვაზ. „კრასნაია ზევზდას“ და სხვას კითხულობს.

მეტყვიან — ყოველივე ეს ცალმხრივია და თავისუფალი აზრი საბ. კავშირში არ არსებობსო. მართალია, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ იგი არმიელს აჩვენებს აზროვნებას. ამის დამამტკიცებელი საბუთია ეს აუარებელი წერილები, რომელსაც თქვენ „კრასნაია ზევზდის“ ფურცლებზე შეხვდებით, სადაც არმიელები სვამენ ამა თუ იმ საკითხს და

არკვევენ მას არა ოფიციალური ენით. ბოლშევიკებს ამით სურთ გაიგონ, როგორ ფიქრობს წითელი არმია. მაგრამ ეს სრულებითაც ხელს არ უშლის იმას, რომ წ. არმიელებმა განვითარება მიიღონ და საკუთარი ჭკუა აამოძრაონ.

მე აქ არ ვეხები გ. პ. უ. ჯარებს, რომლის რიცხვი 150 ათასს აღემატება. იქ სამსახური სწარმოებს ნებაყოფლობით და არა სამხედრო ბეგარის წესით. მასში, როგორც ამბობენ, მთავარ ინსტრუქტორების როლს გერმანელები ასრულებენ. ამ ნაწილს ბოლშევიკები კიდევ უფრო მეტი ყურადღებით ექცევიან, კარგად ინახავენ და კარგადაც ყავთ შეიარაღებული. ეს უფრო დამსჯელი ექსპედიცია არის, ვინემ გარეშე მტერთან საბრძოლველი ჯარი.

თუმცა ბოლშევიკები ამბობენ, რომ ისინი შეიარაღებულ ძალაზე მთელი ბიუჯეტის 6, 1 პროცენტს ხარჯავენ. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. წითელი მილიტარიზმი საბჭოთა კავშირის შემოსავლის დიდ ნაწილს ნთქავს, ხოლო ოფიციალურ ცნობებში ეს არა სჩანს. ვინაიდან იგი სხვა და სხვა სახით არის გატარებული საერთო ბიუჯეტში.

ასეთია მოკლედ წითელი არმიის სახე.

#### 14

აქედან დასკვნა. წითელი არმია არ არის აბუჩად ასაგდები ძალა, რომელსაც შესაფერისი ანგარიში არ უნდა გაეწიოს. შესაფერ პირობებში იგი ბოლშევიკების იმედებს უსათუოდ გაამართლებს. თუ ევროპამ თავისი შინაური კონფლიქტები ვერ მოაგვარა, საფრანგეთი და გერმანია ვერ შეთანხმდა, ბოლშევიკები აუცილებლად შეეცდებიან ამით ისარგებლონ და წითელი არმია ევროპას შეუსიონ. იმ სულიერი განწყობილებით, რომელიც ამ უამად რუსეთში არსებობს და რომელზეც ზემოდ მქონდა ლაპარაკი. ბოლშევიკების ლოზუნგებით წითელი არმიის ევროპისაკენ დაძვრა ადვილია. პერსპექტივები, რომ ევროპაში საძარცვავს აუარებელს იშოვნებინ და ადგილობრივ ელემენტებშიც თანამებრძოლებს შეიძენენ, წითელ არმიას აუცილებლად ბრძოლის გუნე-

ბაზე დააყენებს. ისე, როგორც ერთ დროს მონღოლების ურდოებში დიდძალი დიოდენ სხვა ქვეყნებში გასამდიდრებლად და კალიასავით ედებოდენ დაპყრობილ ქვეყანას, იგივე შეიძლება განმეორდეს ბოლშევიკების მხრითაც.

მთელი საბჭოთა კავშირი ისეა დამშეული, გატიტვლებული და გაძარცვული, რომ უცხოეთში ნადავლის საშოგრად ხალხის ამოდრავება ადვილად შეიძლება. ჩვენ ვიცით, როგორ შეუსიეს ბოლშევიკებმა დამშეული ჩრდილოეთ რუსეთი სამხრეთ რუსეთს პურის საშოგრად. იგივე შეიძლება განმეორდეს დღეს. — დამშეული და ტიტველი რუსეთი — მდიდარსა და მსუქან ევროპას შეუსიონ.

ყოველივე ეს შეიძლება მხოლოდ იმ პირობებში, თუ ევროპა ანა-რქიამ მოიცვა და ბოლშევიკებს პოზიციონური დიდი ბრძოლების წარმოება არ დასჭირდა. მაგრამ თუ ევროპა გულზე ხელ-დაჭდობილი არ იქნა, თუ პოლონეთი, რომელზეც ბოლშევიკები პირველ იერიშს მიიტანენ, თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა და წითელი არმიის პირველი იერიშები მოიგერია, მაშინ წითელი არმია კიდევ უფრო სამარცხვინოდ დამარცხდება, ვინემ მეფის ჯარი კარპატებში. ბოლშევიკებს ხანგრძლივი ომის წარმოება არ შეუძლიათ. ისინი ფართე მობილიზაციის გამოცხადებასაც ვერ გაბედავენ. მათ არ ძალუძთ საბჭოთა კავშირის მთელი ძალების მობილიზაცია და მისი დაჭიმვა. იგი ამას ვერ აიტანს და დაწყდება.

დღევანდელი გერმანიის რაიხსვერის (ჯარის) ორგანიზატორი გენ. ფონ ზეეკტი ამბობს: — მშვიდობიანობის დროს უკეთესია იყოლიო პატარა, მაგრამ კარგად მომზადებული, მოტორიზაციით და მექანიზაციით ქმნილი ჯარი, ვინემ დიდი მასსიური არმია. ამ ჯარმა მობილიზაციის გარეშე უნდა შესძლოს თავისი ამოცანების დაუყონებლივ დაწყება და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს „შეიარაღებული ერის“ მობილიზაცია.

მსოფლიო ომის შემდეგ ყველა სამხედრო ავტორიტეტი ერთხმად აღიარებს, რომ ომში მონაწილეობას იღებენ არა მარტო პროფესიონა-

ლური მეომრები და სწყვეტენ ომის ბედს, არამედ იბრძვის მთელი ერი, მთელი თავისი მატერიალური და იდეური კულტურით. დაბოლოს ბრძოლაში გამარჯვებული გამოვა იგი, რომელიც კულტურულად და ტექნიკურად უფრო ძლიერია.

ბოლშევიკებს ამ მხრით საქმე ყველაზე უფრო ცუდათ აქვთ. მათ უნდათ „დაეწიონ და გაუსწრონ ევროპასა და ამერიკას“. მაგრამ ერთია სურვილი და მეორეა სინამდვილე. „დაკვრიით წესით“ რუსის ხალხის გაკულტურება შეუძლებელია. ეს მათზე ადრე პეტრე დიდმა და მისმა მემკვიდრეებმა სცადეს. მაგრამ არაფერი გამოვიდა. მონების ხელით ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია არ მოხერხდება. ეგვიპტისა და რომის ისტორია ამას გვასწავლის. ამასვე ლაღადებენ საბჭოთა კავშირის ფაქტები, თუ კი ბოლშევიკები თვალეზზე ხელს არ დაიფარებენ და სინამდვილეს პირდაპირ შეხედავენ. მთელი საბჭოთა კავშირის სიამაყე სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა, რომლის დანიშნულება იმდენად ტრაქტორების დამზადება არ არის, რამდენად ზარბაზნების, ყოველი კრიტიკის დაბლა აღმოჩნდა. ეს აღიარა სტალინის მარჯვენა ხელმა ორჯონიკიძემ. რაღა უნდა ითქვას სხვაზე?

რკინის გზა და საერთოდ ტრანსპორტი, თვით მოლოტოვის განცხადებით, მეფის ხანის უარეს მდგომარეობაშია. ომის დროს კიდევ უფრო დატვირთვას იგი ვერ შესძლებს.

ერთი სიტყვით დიდი ომის დროს საბჭოთა კავშირს მატერიალური, ტექნიკური და კულტურული ძალები საკმაო არ აღმოაჩნდებათ, ზედმეტ დატვირთვასა და დატვირთვას ვერ აიტანენ და მთელი საბჭოური სახალხო მეურნეობა მთხლესავით წვაა.

ბოლშევიკები გენ. ზეცკის ფორმულის პირველი ნაწილის შესრულებასაც ვერ შესძლებენ და წ. არმიის მთელ რეგულიარულ ნაწილებს საომარ ფრონტზე ხელ-ალებით ვერ გადაისვრიან. ბოლშევიკები მთელ საბჭოთა კავშირში დამპყრობელების მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ არ შეუძლიათ მოხსნან წითელი არმიის ნაწილები ყველგან და ადგილობრივი ხელისუფლება მარტო მილიციისა და გ.პ.უ.-ს ჯარების ამარა

დასტოვონ. განსაკუთრებით ეს არ შეიძლება ნაციონალურ რესპუბლიკებში და ციმბირში. ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება თან გაჰყვეს, თუ იმ დღეს არა. მეორე დღეს მაინც, წითელ არმიას უკან.

ასე რომ გენ. ზეეკტის სამხედრო ფორმულის სახეებით განხორციელება ბოლშევიკებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ. და თუ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ჩაებენ ომში, აუცილებლად დამარცხდებიან.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბოლშევიკებს ომი არ სწადიათ. ომი მათ ძლიერ უნდათ, მაგრამ მხოლოდ მათთვის ხელსაყრელ პირობებში. ასეთი პირობები დადგება ბოლშევიკებისათვის იმ შემთხვევაში, თუ ევროპა შიგნიდან აფეთქდა და წითელ არმიას მხოლოდ შესევა დასჭირდა.

კაუი

ჩეხია, 1931 წ. 27 მაისი

**ომის მსხვერპლი**

**და**

**ერის ზრდა**

წერილი მესამე

**ომის ზიანის ბუნებრივად გამოსწორება**

მეორე წერილში ჩვენ შევეხეთ იმ მოვლენას, რომ ხალხის გამრავლებისათვის და კერძოდ ომის მიერ მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად ხელისუფლება კანონსა და ხელოვნურ ზომებს მიმართავდა. დასასრულ ისიც აღვნიშნეთ, რომ ამ ხელოვნურ ზომათა გარდა, მოსა-

ხლეობის განვითარება და ზრდაში, ომის მიერ გამოწვეულ მოსახლეობის შემცირების მოსპობაში მოქმედებდა და მოქმედებს კიდევ რაღაც, რაც ადამიანისა და პოლიტიკის სურვილზე სრულებითაც არაა დამოკიდებული, და რაც ბუნების საიდუმლო მყარ მოვლენას შეადგენს. ჩვენ გვსურს ამ მოვლენის შესახებაც ორიოდ სიტყვა მოვახსენოთ. —

უცნაურობა უყვართ ამერიკელებს და გასაკვირვალი არაა, თუ ასეთ უცნაურ აზრსაც გამოსთქვამენ ხოლმე. აქ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მახსენდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატის სენატის რომელიღაც კომისიაში ერთმა სენატორმა საქართველოს საკითხის გარჩევის დროს განაცხადა: — ქართველები მუდამ იბრძოდნენ და იცავდნენ თავის ეროვნულ და სარწმუნოებრივ არსებობას და ამის გულისათვის აუარებელი მსხვერპლი გაიღეს, — რომ მათ ამოდენა ზარალი არ ჰქონოდათ ისტორიაში. ისინი სამას მილიონზე მეტი უნდა იყვნენ...

ჩვენ არ ვიცით, რა დებულებაზე ამყარებდა პატივცემული სენატორი თავის ანგარიშს, მაგრამ ერთი ცხადია: — მართლაც ისე ხშირი და განუწყვეტელი იყო როგორც საშინაო ისე საგარეო ომი, რომ გასაკვირველი არის, თუ როგორ მოიტანა ქართველმა ხალხმა თავისი არსებობა მე-19 საუკუნემდე. ომში ხომ უმთავრესად მამაკაცები იღუპებიან, — და მასიური მუდმივი ჟლეტა ერის არსებობას დასასრულს უქადდა (ვიმეორებ: ხომ ხშირია ჩვენი ძველი ისტორიკოსების ნაწერებში — ესა და ეს მხარე „გაუჟაცრიელდა“-ო, მოისპოო!). მაგრამ თუ არ მოისპო, არამც თუ მარტო ქართველი ერი, არამედ სხვაც — ეს მიეწერება იმ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას, რომელსაც ჩვენ ბუნების საიდუმლოება ვუწოდეთ. და ესაა შემდეგი: —

**ყოველი ომის შემდეგ გაცილებით მეტი ვაჟი იზადება ვინემ ქალი.** ასე რომ თვით ბუნება ზრუნავს იმის შესახებ, რომ ომის მიერ დარღვეული წონასწორობა ისევ აღდგენილ იქმნას.

ეს მოვლენა დიდი ხანია შემჩნეულია და მხოლოდ სტატისტიკის განმტკიცების შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი მისი სიზუსტით დადასტურება.

საერთოდ აღმოჩნდა, რომ ყოველწლიურად ყველგან (გამონაკლისად) შეადგენენ სამხრეთ აფრიკის ველური ტომები ნატალში და ზულულანდში, სადაც ქალები იზადებიან ჭარბად) მეტი ვაჟები იზადებიან. ეს სამეცნიერო ამბავი პირველად გამოარკვია გრაუნტმა, როდესაც მან დაამუშავა ლონდონის მცხოვრებთა მატების საკითხი (1629—1661წ.). შემდეგ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და მეცნიერება შემთხვევას არ უშვებდა ამ საკითხის გამოსარკვევად.

ზუესმილხი, ჰოფაკერი, ზადლერი, გოელერტი ვაჟების მეტობას მიაწერდნენ მშობელთა წლოვანების გავლენას, ხნოვანებას. კოლმანი ამტკიცებდა, რომ ვაჟები ეზადებიან ახალგაზრდა და ხანში შესულ მამაკაცთა ქმრობისაგან; საშუალო ხნოვანება ქალებს იძლევაო. გრუნსპანი ამტკიცებდა — ვაჟთა მეტობა მცირდება მამების ხნოვანებასთან ერთად და დედის წლოვანება როლს არ თამაშობსო.

ლიკარტი და გულერტი იმ აზრისა არიან, რომ ცოლქმართა წლოვანების განსხვავებაა მიზეზი ამ მოვლენისო. მისი აზრით, ქმარზე უფროსი ცოლი იძლევა ვაჟთა დაბადების სიჭარბეს. პრინცივი უარყოფდა ამას და ფირკი ამბობდა, რომ მშობელთა წლების განსხვავებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო.

იყო აგრეთვე მრავალი წმინდა ბიოლოგიური თეორია თვით სქესთა დამოკიდებულებათა შესახებ, მაგრამ ამაზე არ შევჩერდებით. ეხლა აღვნიშნავთ მხოლოდ ჭამა-სმის თეორიას.

ლოიკარტი, დუესინგი, იანკე ამტკიცებდნენ: — თუ მამა ნაკლებსა სჭამს, ბიჭებს იძლევა, — კარგი ჭამისას — ქალებსო. პლოსი კი დედათა მიერ ჭამის საკითხს უსვამდა ხაზს და ასაბუთებდა, რომ — თუ დედა ბევრსა სჭამს, უმრავლეს შემთხვევაში ქალსა ბადებსო. არის კიდევ სხვა მრავალი თეორია ამ საკითხის შესახებ, მაგრამ მათი აღნუსხვა აქ ძლიერ შორს წაგვიყვანდა, და მაგალითისათვის მხოლოდ აღნიშნულია დავკმაყოფილდეთ.

მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ვაჟები განსაკუთრებულად ჭარბად იზადებიან, ვინემ წინად. ეს მოვლენა ისეთი

ცხადი შეიქმნა, რომ მეცნიერებას არ შეეძლო მისთვის ყურადღება მიექცია და ამ დიდი საკითხის გამო წარმოიშვა მთელი დარგი, რომელსაც ეწოდება: — „სქესობრივი პროპორცია და ომი“. სრული სიზუსტით ცნობილია, რომ მეომარ სახელმწიფოებში (გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, ინგლისი, საფრანგეთი და სხ.) მეტი ვაჟები დაიბადენ ვინემ ქალები. მაშინ როცა არა მეომარ სახელმწიფოებში სქესთა პროპორცია არ დარღვეულა (სტატისტიკურ უამრავ მასალას ამ საკითხზე აქ ვერ ვათავსებთ). აღვნიშნავ მხოლოდ, რომ გერმანიაში 1919 წელს 100 დაბადებულ ქალზე მოდიოდა 108, 5 ვაჟი; 1920 წელს — 107, 7; 1921 წ. — 107, 8. პროპორცია დაახლოვებით ასეთია დანარჩენ მეომარ სახელმწიფოთა ხალხის ზრდის შესახებ.

ამ მეტად საინტერესო საკითხის გამო — რომ ომების შემდეგ მეტი ვაჟები იბადებიან, — დღესაც ცხარე კამათია მეცნიერებაში და ვერ უპოვიათ ის მიზეზი, რომელიც ამ შესანიშნავ მოვლენას იწვევს. ეს კამათი ალბად კვლავ გაგრძელდება. მიზეზის გამორკვევის საკითხი ყოველთვის საინტერესო იქნება, ხოლო ყველაზე უფრო საინტერესოდ რჩება თვით ეს მოვლენა, რომელმაც ალბად მრავალი ერი, და მათ შორის ჩვენიც გადაარჩინა სრული განადგურებისაგან და სიკვდილისაგან.

ვ. მოძველი

## სამხედრო სასამართლოს ჩაფორმა საზრუნავითში

იანვარ-თებერვლის პოლონურ სამხედრო კრებულში „ბელონა“-ში მოთავსებულია ფრანგ მაიორის დუშონის წერილი, რომელშიდაც ავტორი ეხება 1928 წლის 9 მარტის უფლებას და მისი ძალით საფრანგეთში გატარებულ სამხედრო რეფორმას.

სამხედრო სასამართლოს პრობლემა, მისი საჭიროება-არ-საჭიროება ისაა, ამ დავის გარშემო ატეხილი კამათი მსოფლიო ომის შემდეგ აქტიურ პრობლემად არის აღნიშნული საფრანგეთ-გერმანიაში. ამ კამათის ზეგავლენით საფრანგეთმა გაატარა ცხოვრებაში 9 მარტის კანონი, რომელმაც მშვიდობიანობის დროს თვალსაჩინოდ შესცვალა სამხედრო სასამართლოს იურისდიქცია და მისი პირადი წყობილება. გერმანიამ კი 1920 წელს სრულიად მოსპო სამხედრო სასამართლო და მისი უფლება საოლქო სასამართლოებს გადასცა.

ეს ისტორიული ფაქტი ყურადღების ღირსია ჩვენთვის, ქართველებსათვის, ვინაიდან — ოდესმე ბედი გვარგუნებს ჩვენი სამშობლო ჯარის მკვდრეთით აღდგენას — მხედველობაში უნდა მივიღოთ ეს ცვლილებანი და მათი შედეგები, რომ ამით სხვისი ცდა დადებით და ნაყოფიერად გამოვიყენოთ.

ყველასთვის ნათელია, რომ სასამართლოს დანიშნულებაა სამართლიანი განაჩენის გამოტანა. სასამართლოს მთავარი მიზანი დანაშაულსა და სასჯელის სამართლიან პროპორციაში გამოიხატება; ესე იგი ყოველივე ბოროტმოქმედება მოქალაქისა, რომელიც თავის უკანონო მოქმედებით არღვევს საერთო საზოგადოებრივ წესრიგს, დაუყოვნებლივ უნდა იყოს დასჯილი, რომ ამით უპირველესად ყოვლისა აღდგენილი იქმნას ბოროტი ხელით დროებით დარღვეული წესრიგი და შემდეგ საპასუხოდ ბოროტმოქმედისა, მოქალაქე **სამართლიანად** იყოს დასჯილი. არსებობს ერთგვარი პროპორცია, სამართლიანი და ობიექტური ბოროტმოქმედებასა და სასჯელს შორის, განაჩენსა და დანაშაულს შორის. ამ პროპორციულ სისტემაზე არის აგებული მთელი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ევროპა-ამერიკაში.

სამხედრო სასამართლოს უფლება და მისი იურისდიქცია სავსებით არ ეყრდნობა ამ საერთო პროპორციულ პრინციპს. დროთა მსვლელობამ, გამოცდილებამ და დაკვირვებამ დაარწმუნა იგივე ევროპის ერები, რომ სამხედრო წრე და მისი პირადი შემადგენლობა სპეციალური თვისებისაა, რომ მისი შინაური წყობობის შელახვა-დარღვევა იმდენათ

საშიშო-სახიფათოა, რომ მხედარი, რომელიც ამ წრის წყობილებას წინააღმდეგ მოქმედობს, განსაკუთრებული, საგანგებო ზომებით უნდა იყოს დასჯილი. ამიტომ იგივე სახელმწიფოებრივი კეთილდღეობა-სიწყნარე მოითხოვს, სასტიკ რეპრესიების გაღებას იმ ბოროტ მხედრის წინააღმდეგ, რომელსაც ძალუძს ამ სამხედრო ოჯახის და მის მწყობრობის ნგრევის პროცესში ჩაყენება. აი, სწორედ ამით აიხსნება იშვიათი ხასიათი სამხედრო იურისდიქციისა და აქედან გამომდინარე არსებითი მოვლენა სამხედრო სასამართლოს არსებობისა და საჭიროებისა.

ბატონი მაიორი დუშონი წინასიტყვაობაში მოკლედ ეხება სამხედრო სასამართლოს ისტორიას საფრანგეთში. აღნიშნავს მცირე განმარტებით 1790 წლის კოდექსს, რომელმაც გამოყო სამხედრო სასამართლოს უფლება საერთაშორისო უფლებისაგან, შექმნა სამხედრო სასამართლოს დებულება და მისი პროცედურა (მოქმედება). აქვე ავტორი მას უსაყვედურებს მის გადაჭარბებულ დემოკრატიზმს, რომელიც საზოგადოთ ახასიათებს ამ ხანას. შემდეგ ბ. დუშონი ეხება 1793 წლის კანონს, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აძლევს მხედრის მიერ ჩადენილ დანაშაულს, სამხედრო იურისდიქციას და სასჯელის სისრულეში მოყვანას. დასასრულ ავტორი აღნიშნავს 1857 წ. კოდექსს, რომელიც რეფორმის გატარებამდე მოქმედობდა საფრანგეთში.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ კოდექსის დედა-აზრი სამ მიზანს ემსახურება:

1. მსაჯულის და ბრალდების სრულ გარანტიებს,
2. სასჯელის ზოგიერთ შემთხვევაში შემსუბუქებას,
3. განაჩენის და გამოძიების სისწრაფით წარმოებას.

მსოფლიო ომის წარმოების დროს, ბრძანებს პატივცემული ავტორი, სამხედრო სასამართლოს საკითხის გარეშე ორმა მიმართულებამ იჩინა თავი. პირველი მიმართულება, რომელიც ომიანობის ხანაში იშვიათად, დაჟინებით მოითხოვს სასტიკ რეპრესიებს სამხედრო პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულობის წინააღმდეგ, რადგან მტრის სამშობლოში შემოჭრის საშიშროება ამ სისასტიკეს მოითხოვს თავდაცვის ინტერესში.

მეორე მიმართულება ომის დამთავრების ხანას ეკუთვნის. გამარჯვებული საფრანგეთის ერი შეწყალება-სათნობას მოითხოვს მხედრისათვის, რომელმაც სამშობლო მტრის შემოსევას გადაარჩინა და მაშასადამე, ღირსია სათნოების პატიების და შეწყალებისო.

ამ შეწყალების მიმართულებამ მთავარი გავლენა მოახდინა 9 მარტის კანონის ავტორებზე და სწორედ ამ უკანასკნელის ზეგავლენით პარლამენტმა მიიღო და ცხოვრებაში გაატარა 9 მარტის კანონი, რომელსაც არსებითად ვეხებით.

1928 წლის 9 მარტის (კოდექსი)-უფლება 5 წიგნად არის დაყოფილი. იგი ეხება ქრონოლოგიურად:

წიგნი პირველი (ორ ნაწილად დაყოფილი) სამხედრო სასამართლოს ორგანიზაციას,

წიგნი მეორე — სამხედრო სისხლის სამართლის უფლებას,

წიგნი მესამე — საერთო დადგენილებებს.

წიგნი მეოთხე — დროებით, გარდამავალ დადგენილებებს,

წიგნი მეხუთე — სამხედრო სასამართლოს სამდივნოებს და სამხედრო საპრობილევებს.

საჭიროდ მიგვაჩნია აქ მოკლედ მაინც შევეხოთ იმ კამათს და აზრთა-გამოცვლას, რომელსაც ამ უფლების გარშემო ადგილი ქონდა პარლამენტში.

იქ პირველ ყოვლისა დაისვა საკითხი მთავარი და არსებითი: საჭიროა თუ არ მშვიდობიანობის დროს სავანგებო, სპეციალური სამხედრო იურისდიქცია მოქალაქესათვის (რადგან მხედარი უპირველესად მოქალაქეა და შემდეგ მხედარიო), თუ ეს იურისდიქცია იმავე სიადვილით და სისწრაფით სამოქალაქო სასამართლოებს შეუძლიათ აწარმოონ? განსაკუთრებით მემარცხენე პარტიები ამტკიცებდნენ მის არ-საჭიროებას, და მხოლოდ ომიანობის დროისათვის საჭიროდ აღიარეს სამხედრო სასამართლოს არსებობა. სამხედრო სასამართლოს მომხრენი, მათ შორის ყორე კელმანსო, ამტკიცებდნენ, რომ სამხ. სასამართლო საჭიროა სანამ არსებობს ჯარი, როგორც ომიანობის ისე მშვიდობიანობის ხანა-

შიო. საინტერესოა ამ მხრივ ე. კლემანსოს შეხედულება. იგი ასე  
 ბუთებს მას: — „არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს ორი საზოგა-  
 დოება: სამოქალაქო, დაყრდნობილი თავისუფლებაზე და სამხედრო,  
 დაყრდნობილი მორჩილებაზე. განა შესაძლებელია, რომ მსაჯული თა-  
 ვისუფალი გახდეს მორჩილ მსაჯულად?! დიახაც მიმაჩნია ნეტარებად  
 და მისწრაფებად, რომ ამ ორ საზოგადოებას ქონდეს ერთი, საერთო კ-  
 ნონი-უფლება, მაგრამ ეს შეუძლებელია, ვინაიდან ამ საზოგადოება-  
 თა განსხვავება უაღრესია და უსაზღვრო. არა ერთხელ დავრწმუნდი,  
 რომ ზოგიერთი დანაშაული მხედრის მიერ ჩადენილი, გამოუთქმელი  
 თვითნებობით არის ნაკარნახი, მაგალითად უფროსის ხელის შეხება. ამ-  
 გვარი მხედრის უკიდურესი თვითნებობა განსაკუთრებული რეპრესი-  
 ებით უნდა იყოს დასჯილი და დაგმული. ამიტომ, სანამ არსებობს  
 ჯარი და მისი საზოგადოება — მხედრობა — სახელმწიფოს მიერ გა-  
 ლებული უნდა იყოს ეს „მსხვერპლი“ და სამხ. სასამართლო, როგორც  
 სპეციალური დარგის და ხასიათის იურისდიქცია უნდა მუდმივ არსე-  
 ბობდეს“—ო. ასე ახასიათებს ს. სასამართლოს საჭიროებას ე. კლემანსო.

საფრანგეთის პარლამენტში კამათის დროს მესამე — საშუალო მი-  
 მართულებასაც ქონდა ადგილი. ეს მიმართულება არ უარყოფდა სამ.  
 სასამართლოს საჭიროებას, მხოლოდ მოითხოვდა მისი კომპეტენციის  
 შემცირებას: კვლევა-ძიების და ბრალდების უფლების სამხედრო სასა-  
 მართლოსათვის დათმობას, სამოქალაქო სასამართლოსათვის კი მხო-  
 ლოდ განაჩენის გამოტანის უფლებას.

სამხედრო სასამართლოს მომხრენი სამი მთავარი მოსაზრებით ახა-  
 სიათებდენ თავის არგუმენტებს: —

1. სამხედრო გამომძიებელი და მსაჯული მხედარი გაცილებით უკეთ  
 იცნობენ სამხედრო წრეს, ვიდრე სამოქალაქო პირნი, ამიტომ უდავ-  
 ვოა, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ მიზანშეწონილად საქმის გარჩევა  
 და გაშუქება, რადგან ამავე საზოგადოების წევრნი არიან.

2 რომ სამოქალაქო გამომძიებლის და ბრალმდებლის სამხედრო იუ-

რისდიქციაში ჩარევა დაუშვებელია, ვინაიდან ამ გარემოებამ სრულიად შესაძლოა დასცეს სამხედრო წრეში უფროსის ავტორიტეტი.

3. რომ იგივე ომიანობის დროს, მობილიზაციის სასწრაფოდ ცხოვრებაში გატარება მოითხოვს, რათა მშვიდობიანობის ხანაში, საინტენდანტო და სასანიტარო დარგთა გვერდით არსებობდეს სამხედრო სასამართლოები, რომელნიც ხელს შეუწყობენ ამ მობილიზაციის სისწრაფით წარმოებას.

ეხლა შევეხოთ 1928 წლის 9 მარტის უფლებას, დაუპირდაპიროთ იგი 1857 წლის კოდექს და განვიხილოთ გატარებული ცვლილებები.

### სამხედრო სასამართლოს წყობილება და კომპეტენცია

1857 წ. კოდექსის ძალით რეფორმის გატარებამდე საფრანგეთში მოქმედობდნენ:

1. სამხედრო სასამართლო — როგორც პირველი ინსტანცია.
2. სარევიზიო სასამართლოები — როგორც მეორე ინსტანცია.

გარდა ამისა მოქმედებენ ე. წ. საყენდარმო დაწესებულებანი, როგორც სამხედრო საადმინისტრაციო დაწესებულებანი იურისდიქციით აღჭურვილნი.

9 მარტის უფლება, რომელიც მხოლოდ ხმელეთის ჯარს ეხება, მშვიდობიანობის დროს სავსებით სპობს სარევიზიო სასამართლოებს და ამათი კომპეტენცია გადააქვს სამოქალაქო უმაღლეს სასამართლოსთვის (კურ დე კასაციონ) ესე იგი 9 მარტის უფლების ძალით არსებობს:

1. სამხედრო ტრიბუნალი (სასამართლო) და
2. უმაღლესი სასამართლო — როგორც მეორე ინსტანცია:  
ომიანობის დროს კი:

1. სამხედრო ტრიბუნალები და
2. სამხედრო საკასაციო ტრიბუნალები.

საყენდარმო დაწესებულებანი მოქმედობენ მხოლოდ მტრის ბანაკ-

ში შექრილ დიდ ერთეულებში (არმიებში) და იქ, სადაც საალყო წესე-  
ბია გამოცხადებული.

ამ რეფორმებით, როგორც ვხედავთ, 9 მარტის უფლებამ თვალ-  
საჩინოდ შესცვალა სამხედრო სასამართლოს წყობილება, გააუქმა სრუ-  
ლიად მისი მეორე ინსტანცია — სარევიზიო სასამართლო; ამ უკანა-  
სკნელის უფლება უმაღლეს, სამოქალაქო წესით მომქმედ, სასამართ-  
ლოს მიანიჭა და ამით სამხედრო წრეში სამოქალაქო ელემენტი შეიტანა.

## სამხედრო სასამართლოს კომპეტენცია მშვიდობიანობის დროს

სამხედრო სასამართლოს იურისდიქცია 1857 წ. კოდექსის ძალით  
ეხება მხედრის მიერ ჩადენილ დანაშაულს როგორც სამხედროს, ისე  
საერთაშორისო დანაშაულობის წინააღმდეგ.

9 მარტის უფლება ამ მხედრის პასუხისმგებლობას ორ კოდექსის  
წინაშე ჯეროვანად სცვლის. უპირველესად ყოვლისა იხსენიებს იმ პი-  
რებს, რომელთაც მხედრის პასუხისმგებლობა ახასიათებს. ესენი არიან:

1. ყველა სამხედრო პირი და „მათი მსგავსნი“ (მაგალითად, კონტრა-  
კტიული წესით ჯარში ჩარაკსული ოფიცერი), რომელნიც მომქმედ  
ჯარში ირიცხებიან და მთავრობისაგან ჯამაგირს იღებენ.

2. ყველა სამხედრო პირი და „მათი მსგავსნი“, რომელნიც დროებით  
თვის ნაწილში არ იმყოფებიან, მაგალითად საავადმყოფოში, მივლი-  
ნებაში, საპყრობილეში.

3. ყველა მოქალაქე რეზერვიდან გაწვეული დღიდან მათი ნაწილში  
გამოცხადებისა სახლში დაბრუნებამდე და

4. დატყვეულნი.

9 მარტის უფლება იგივე პუნქტუალური წესით ეხება დანაშაუ-  
ლებებს და ბოროტმოქმედებებს მხედრისას, რომელნიც შეადგენენ სა-  
მხედრო სასამართლოს კომპეტენციას. მათ აძლევს ვიწრო მხედრულ  
ხასიათს, ე. ი. ყველა მხედრის მიერ ჩადენილ ბოროტებას სამხედრო

წყობრობის წინააღმდეგ ჩადენილს. მაგალითად მორჩილების წინააღმდეგობას, თვითნებობას, უფროსის პირადათ შეხებას, ჯარში ამბოხების მოწყობას, ჯარის და დროშის წინააღმდეგ მოქმედებას, უფროსის მიერ თვისი უფლების გადაჭარბებულად სარგებლობას, ყარაულის შეურაცყოფას და სხვა. ესე იგი ყველა ვიწრო და სპეციალური დანაშაულის მხედრული ხასიათისა. ამით 9 მარტის უფლებამ სამხედრო სასამართლოს კომპეტენციიდან გამოყო ყველა მხედრის დანაშაული საერთო ხასიათისა, და უმეტესი ნაწილა სამნეო დარგის საქმეების. ამით 9 მარტის უფლება ძლიერ სცვლის მხედრის პასუხისმგებლობას. იგი წარსდგება სამოქალაქო სასამართლოს წინაშე როგორც დამნაშავე მოქალაქე და როგორც მხედარი სამხედრო სასამართლოს წინაშე. მას დევნის ორი მსაჯული, მხედარი და სამოქალაქო. მაშასადამე, მხედრის დანაშაულობაში მთავარი კრიტერიუმი მხოლოდ და განსაკუთრებით დანაშაულობის ხასიათი — თვისებაა და არა მისი მხედრული სახელწოდება და სოციალური მდგომარეობა.

## სამხედრო სასამართლოს კომპეტენცია ომიანობის დროს

ომიანობის დროს სამხედრო სასამართლოს კომპეტენცია ფართო და მრავალია. თითქმის სავსებით აღდგენილია 1857 წ. კოდექსი. მხედარი პირი მხოლოდ სამხედრო სასამართლოს წინაშე აგებს პასუხს, მიუხედავად ბოროტმოქმედების თვისებისა — მხედრულია იგი თუ საერთო ხასიათისა.

### სამხედრო სასამართლოს პირადი შემადგენლობა

სამხედრო სასამართლო 1857 წ. კოდექსით ორ გვარია: დროებითი და მუდმივი.

**დროებითი** შესდგება 7 მსაჯულისაგან, მათში უფროსი პოლკოვნიკი ან პოდპოლკოვნიკი თავჯდომარეობს, როგორც ამ სასამართლოს ხელმძღვანელი, დანარჩენები მის შემადგენლობაში შედიან — ერთი

მაიორი, ერთი კაპიტანი, ორი პორუჩიკი ან პოდპორუჩიკი და ორი უფროსი ჯარისკაცი.

**მუდმივი** პირადი შემადგენლობა სასამართლოსი წესდგება საბრალმდებლო, საგამომძიებლო და სამდივნო მომქმედ პირებისაგან; პროკურორები, რომელნიც მთავრობის კომისრის სახით საჯაროდ გამოდიან სასამართლოში საბრალმდებლო ოქმით მხედრის წინააღმდეგ. საქმის მწარმოებელნი, რომელნიც გამომძიებლის უფლებით აღჭურვილნი, აწარმოებენ კვლევა-ძიებას, აგრეთვე მდივნები სამხედრო სასამართლოსი, რომელნიც ფაქტიურად აწარმოებენ სასამართლოს კანცელარიას და მის არქივს - 9 მარტის უფლება თვალსაჩინოდ სცვლის 1857 წ. კოდექსს — მის პირად შემადგენლობის შესახებ. სამხედრო სასამართლოს სათავეში სდგას მისი თავჯდომარე, არა მხედარი, სამოქალაქო პირი, საოლქო სასამართლოს წევრი, მის გარშემო იყრის თავს სამხედრო სასამართლო მხედრების მიერ შეკრებული. ეს სამოქალაქო პირი, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, საოლქო სასამართლოს მუდმივი წევრია და სამხედრო სასამართლოს თავჯდომარეობს დროებით აღ ლოკ მივლინებული სამხედრო სასამართლოს სხდომაზე.

როგორც ვხედავთ, სამხედრო სასამართლოში 9 მარტის უფლებით დიდი ცვლილება არის გატარებული — სამხედრო ოჯახში, მის მხედრულ პირად მოსამართლე შემადგენლობაში სამოქალაქო ელემენტი არის შეყვანილი და ერთგვარი დემოკრატიზმი არის დაცული.

გარდა ამისა 9 მარტის უფლებამ დიდი ერთეულის უფროსს მოუსპო უფლება მსაჯულის დანიშვნისა, რომლითაც იგი თანახმად 1857 წ. კანონისა უხვად სარგებლობდა. ეს უფლება მას ენიჭება ომიანობის დროს, მშვიდობიანობის ხანაში მას ევალება ექვსი თვის ვადით, რიგის წესით სამოქალაქო სასამართლოსადმი მხედართ მსაჯულთა სიის შედგენა და ამ სასამართლოსათვის წარდგენა.

როგორც სჩანს, 9 მარტის უფლებამ არამც თუ არ გააუქმა სამხედრო სასამართლოს იურისდიქცია, არამედ საჭიროდ დაინახა სამხედრო სასამართლოს არსებობა და უფლებრივ დააკანონა სამხედრო სასამარ-

თლოს შემადგენლობა, როგორც თვითმომქმედი სამხედრო სასამართლოს კორპუსი და ამასთანავე, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, სამხედრო სასამართლოს შემადგენლობაში სამოქალაქო ელემენტი შეიყვანა.

## სამხედრო სასამართლოს კომპეტენცია ომიანობის დროს

9 მარტის უფლება ომიანობის ხანაში სავსებით სცვლის სამხედრო სასამართლოს პირად შემადგენლობას, აფართოებს მის კომპეტენციას, უარყოფს სამოქალაქო ელემენტს (თავჯდომარეობს უკვე უფროსი მხედარი — პოლკოვნიკი); გარდა ამისა, საგანგებოდ აარსებს დიდ ერთეულებში (არმიები, კორპუსები, დივიზიები) სამხედრო მინისტრის ბრძანებით სამხედრო ტრიბუნალებს, რომელნიც მოქმედებენ დღიდან მობილიზაციის გამოცხადებისა. ეს ტრიბუნალები შესდგებიან 5 მხედრისაგან, არჩევენ ისინი ყველა დანაშაულს და ბოროტმოქმედებას მხედრის მიერ დაშვებულს, უბრალო ჯარისკაციდან დაწყებული გენერალდივიზიის სახელწოდებამდე. დივიზიის გენერალიდან დაწყებული კი მაღალ ხარისხამდე არჩევენ იგივე სამხედრო ტრიბუნალები 7 მხედრისაგან შემდგარი. ხოლო 9 მარტის უფლება აუცილებელ საჭიროებად სთვლის, რათა თავჯდომარე და მოსამართლენი უსათუოდ ეკუთვნოდნენ მომქმედ ნაწილებს და მისი რიგიდან ესე იგი ფრონტიდან იყვნენ გაწვეული სამხედრო ტრიბუნალებში, ამასთანავე ერთჯერ მაინც ბრძოლაში ყოფილიყვნენ დაჭრილნი. გარდა ამ ცვლილებებისა, 9 მარტის უფლებამ ამავე ტრიბუნალებში შეიტანა სამხედრო დამცველის ელემენტი. რომელიც მობილიზაციის ძალით ჯარში გაწვეული არის, მაგალითად, ყოფილი ვეჭილები, სამოქალაქო მსაჯულნი, უფლების პროფესორები, იურისკონსულტები და სხვა.

იმავე 9 მარტის უფლებით, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, არსდებიან სამხედრო საკასაციო ტრიბუნალები უმაღლეს სამოქალაქო სასამართლოს მაგიერ, იმ განსხვავებით, რომ ეს საკასაციო ტრიბუნალები

შესდგებიან 5 წევრისაგან, მათში 3 წევრი სამოქალაქო სააპელაციო სასამართლოს მსაჯულია და ორი სამხედრო პირი უფროსი ოფიცრის ხარისხით. ამგვარივე საკასაციო ტრიბუნალები არსებობენ დიდ ერთეულებში 5 წევრისაგან შემდგარი: ერთი გენერალი და ოთხი უფროსი ოფიცერი ე. ი. სავსებით მხედრული შემადგენლობით.

## სისხლის სამართლის უფლება

სამხედრო იურისტებისათვის ცნობილია, რომ 1857 წ. კოდექსი დრაკონიული სისასტიკით არის ნაკარნახი; მაგ. სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს უფროსის ხელის შეხება მისი ხელქვეითის მიერ სიკვდილით ისჯება. 9 მარტის უფლება აქაც თვით მთავარ გეზს — დათმობა — თვითნებობის პრინციპს ატარებს და თვალსაჩინოდ ამსუბუქებს სასჯელს, მხედრის მიერ განაჩენით გამოტანილს.

მაშ მოკლედ მოვიხსენიოთ ის ცვლილებები, რომელნიც 1928 წ. 9 მარტის უფლებამ გაატარა სამხედრო სასამართლოში: —

1. მან შექმნა და დააკანონა თვითმომქმედი სამხედრო სასამართლოს კორპუსი, ე. ი. მისი პირადი შემადგენლობა.
2. შესცვალა სამხედრო სასამართლოს წყობილება იმით, რომ შეიტანა სამოქალაქო ელემენტი, როგორც კანონმდებლობის მცოდნე უმაღლესი ელემენტი სამოქალაქო მსაჯულისა — მშვიდობიანობის დროს; ომიანობის ხანაში ამავე სამოქალაქო ელემენტს ეს უფლება მოუსპობდა მისი კომპეტენცია-უფლებანი სამხედრო პირს გადასცა.
3. შექმნა სამხედრო დამცველთა შემადგენლობა.
4. შეამცირა მშვიდობიანობის დროს სამხედრო სასამართლოს იურისდიქცია, მხედარი ორი სასამართლოს წინაშე პასუხისმგებელი გახადა; სამხედრო სასამართლოს იურისდიქცია სამოქალაქო სასამართლოს გაუნაწილა და მხოლოდ ომიანობის ხანაში ეს წართმეული იურისდიქცია მასვე დაუბრუნა.

5. დიდი დათმობით და სათნოებით მხედრის სასარგებლოდ შესტყლა სისხლის სამართლის უფლება.

ამით ამოიწურება ცვლილება 9 მარტის უფლებით გატარებული საფრანგეთის სამხედრო სასამართლოში.

## სამხედრო სასამართლოს საკითხი ჩვენ სამუოგლოში

სამხედრო სასამართლოს არსებობის საკითხი ჩვენი დამოუკიდებლობის ხანაში არა ერთხელ იყო წამოყენებული. შესაძლოა მომეაღ მკვდრეთით აღდგენილ ჩვენ სამშობლოში განმეორებით შეეხოს მას ჩვენი საზოგადოება. ჩვენი მოვალეობაა ამ საკითხს გავეცნოთ ჩვენი ერისა და ჯარის საჭიროების თანახმად, აგრეთვე მივიღოთ მხედველობაში საფრანგეთში გატარებული ცვლილებანი და ჩვენი აზრი ვსთქვათ.

სამხედრო სასამართლოს პრობლემის გამო ისმება ორი მთავარი საკითხი: —

1). საჭიროა თუ არა მშვიდობიანობის დროს სამხედრო სასამართლო როგორც სპეციალური იურისდიქციის მწარმოებელი სახელმწიფო დაწესებულება, თუ მისი საჭიროება მხოლოდ ომიანობის ხანაში ისმება და

2). თუ მისი საჭიროება უაღრესია, რა წყობილების და კომპეტენციის ფარგლებში უნდა მოქმედებდეს იგი.

ჩვენი პასუხი პირველ დასმულ საკითხისადმი დადებითია, ესე იგი სახელმწიფოებრივ საჭიროებად მიგვაჩნია სამხედრო სასამართლო არსებობა, როგორც მშვიდობიანობის დროს, ისე ომიანობის ხანაში. საჭიროდ მიგვაჩნია თვითმომქმედი (სამხედრო) სამხედრო სასამართლოს შემადგენლობა და მათ მიერ სამხედრო იურისდიქციის წარმოება შემდეგი მოსაზრებით: —

სავსებით უნდა გავიზიაროთ ჟორჟ კლემანსოს აზრი სამხ. სასამართლოს შესახებ; განსაკუთრებით, რომ არსებობს ორი საზოგადოება

— მხედრული და მოქალაქე, რომელთა შემადგენლობას დიდი განსხვავება ახასიათებს, რომ დიხაზაც თავისუფალი მსაჯული მორჩილ მსაჯულად ვერ გახდება. სამხედრო იურისდიქციაში დიდ როლს ვერ ითამაშებს უფროსის შეხედულება ამა თუ იმ საქმეზე, რადგან იგი უფრო ჩახედულია მხედრულ წყობრობის მოთხოვნილებაში\*). ამით აიხსნება რომ ავსტრიაში, გერმანიაში (1920 წლამდე) და დღევანდელ პოლონეთში, დიდი ერთეულის (კორპუსის) გენერლის ბრძანებით იწყება ყველა გამოძიება სამხედრო პირის წინააღმდეგ. ამ უფლებას სამხედრო პროცედურაში სათანადო ადგილი აქვს მინიჭებული და ერქმევა მას თუ შეიძლება ასე ითქვას — „საკუთარი უფლების კომპეტენცია“. ამ უფლების ძალით სარგებლობს ბრალმდებელი (პროკურორი), რომელიც თავისი დასკვნით ბრძანებს სამხედრო სასამართლოს საქმის, გამოძიების დაწყებას და როდესაც საქმე დამთავრდება, იმავე „საკუთარის უფროსის“ ბრძანებით გამოდის საჯარო და საბრალმდებლო ოქმით სხდომაზე. იმავე უფროსს შეუძლია შეაჩეროს დროებით ზოგიერთი საქმის წარმოება, თუ იგი საჭიროდ დაინახავს, რომ საქმის მსვლელობამ და მისი სასამართლოს „ფორუმში“ გატანამ შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს სამხედრო დისციპლინას და მის წყობრობას და საიდუმლოების დაცვას.

ამ „საკუთარ უფროსის“ ინსტიტუციას შეეხებებით შემდეგ წერილში, რომელიც ჩვენის აზრით მეტად საინტერესო თემა გახლავს.

რუსეთის ჯარში მას არ ქონდა ადგილი, ჩვენ კი მისი არსებობა საჭიროდ მიგვაჩნია მომავალ საქართველოში.

აქ კი განვაგრძოთ დასმული საკითხის გარშემო ჩვენი შეხედულების გამოთქმა. უნებლიედ ისმება საკითხი: შესაძლოა თუ არა ამ ინსტიტუციის არსებობა სამოქალაქო მოსამართლის წარმოდგენაში. და შე-

---

\*) და პასუხისმგებელია თავის სპეციალურ სამხედრო შეხედულების განხორციელებაში. რედაქცია.

საძლებელია თუ არა მსაჯულის ფსიქოლოგიაში „მორჩილებითი“ მსაჯულობა, რომელსაც გულისხმობს ყორყ კლემანსო. რასაკვირველია, ეს შეუძლებელია სამოქალაქო მსაჯულისათვის; მხედარი მსაჯული კი ამას ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ასცდება, რადგან სამხედრო სასამართლო განაჩენის გამოტანით სამხედრო დისციპლინის დაცვას და წყობრობას ემსახურება. ამიტომ სრული ჭეშმარიტებაა კლემანსოს შეხედულება, რომ სანამ არსებობს მხედრობა და მისი საზოგადოება, სამხედრო სასამართლოს იურისდიქცია ამ წრისათვის აუცილებელი საჭიროებაა. უდავოა, რომ სამხედრო წრე სპეციალური ხასიათისაა, მას შეადგენს საუკეთესო ჯანით სავსე ახალგაზრდა ელემენტი; ამ ელემენტის აღზრდა და გაწვრთნა უაღრესად უფროსისადმი მორჩილებაზე არის დაყრდნობილი; რომ დიახაც დაუ სახელმწიფოებრივ საშიშროებას წარმოადგენს ამ ელემენტის მიერ წინააღმდეგობის გაწევა, რომელსაც საშუალება აქვს ყოველ წუთს იარაღით ხელში გამოვიდეს. მაშასადამე საჭიროა სპეციალური სისხლის სამართლის უფლება ამ საზოგადოებისათვის. და რომ ყოველ საქმეში ერთგვარი მხედრული სამართალიც იყოს დაცული, აუცილებელი საჭიროება მოითხოვს მხედრის ბოროტი საქციელი დაგმოს მან, ვინც ამ საზოგადოების წევრია, რომელიც ზედმიწევნით იცნობს თავის ოჯახს, ისე როგორც მოშობელი დედა თავის შვილებს.

საჭირო არაა აუარებელი საბუთებით დავადასტუროთ ჩვენი შეხედულება, საჭიროა მხოლოდ თვალი გადავაგლოთ იმ ცვლილებებს, რომელსაც ადგილი უკვე ჰქონდა გერმანიაში, სადაც სავსებით მოიხპო სამხედრო სასამართლოები და მათი კომპეტენცია სამოქალაქო სასამართლოს გადაეცა.

ვერსალის ხელშეკრულების თანახმად გერმანიას ფაქტიურად მოესპო უფლება იყოლიოს მუდმივი ჯარი; მისი ჯარის რიცხვი არ აღემატება 100 000 ჯარისკაცს. რასაკვირველია, 75 მილიონ ხალხისათვის ეს მცირე მხედრული შემადგენლობა დიდ არასფერ ძალას წარმოადგენს. აშკარაა, რომ ამ ჯარისათვის არაა საჭირო დიდი სამხედრო სასა-

მართლოს აპარატის შექმნა, მაგრამ მისი საქიროება თვით ცხოვრებამ მოითხოვა.

გერმანიის „ძლევა მოსილმა“ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გერმანიაში გადატრიალების შემდეგ, სხვათა შორის, დიდი იერიში მიიტანა სამხედრო სასამართლოს სიმაგრეებზე, მიწაზე გაასწორა მისი საძირკველი. საუკუნეების განმავლობაში მტკიცე ხელით შექმნილი. ერთი კალმის მოსმით მოუსპო ამ სასამართლოს ცხოვრების სული და მისი უნარი, გამოცდილება, ინდივიდუალობა, და მოქალაქე მსაჯულს გადასცა. 1920 წლის 17 აგვისტოს დებულებით გერმანიაში სამხედრო სასამართლოები გაუქმდა.

§ 3 ამ დებულებისა აუქმებს სამხედრო სასამართლოებს.

§ 1 კი სამხედრო სასამართლოებს სამხედრო—ომიანობის ხანისათვის გულისხმობს.

§ 6 ამავე დებულებისა ბრძანებს, რომ მხედარ პირად ითვლება ყველა მხედარი, რომელიც მხედრული მოვალეობით არის დაკავშირებული ჯართან.

§ 7, რომელიც ყურადღების ღირსია, ამბობს, რომ სამოქალაქო პროკურორის უფლებას შეადგენს განსაზღვროს (მოახდინოს კვალიფიკაცია) ესა თუ ის დანაშაული დაგმობილი უნდა იქმნეს სასამართლოს განაჩენით, თუ დისციპლინალური წესით.

ეს დებულება მიიღო პარლამენტმა და გაატარა ცხოვრებაში, ამ უკანასკნელმა კი ძლიერ მოკლე დროში უარყო დებულების უარყოფითი შედეგები. საზოგადოებაში გაისმა საყვედურის ხმა სამოქალაქო მსაჯულის წინააღმდეგ, აბრალებდნენ მას საქმის არ-ცოდნას, სამხედრო სამართლის სრულ უცოდინარობას, სამხედრო წრის ინტერესების არ-შეთვისებას და სხვას. საყურადღებოა ამ მხრივ გამოჩენილი იურისტის ფონიანის შეხედულება, მის მიერ გამოთქმული დოიტშე შტრაფრეხტ ცაიტუნგ-ში (1921 წ. ნოემბერ-დეკემბრის კრებულში).

ფონიანი ბრძანებს, რომ სამხედრო სასამართლოს გაუქმებით თვალსაჩინოდ იმატა საქმეების რიცხვმა პროკურორის და გამომძიებელის

დაწესებულებებში. სამოქალაქო ბრალმდებელმა (პროკურორმა) და გამოძიებლებმა ვერ შესძლეს „მონელება და გადაღებვა“ გამოუცდელია გამო, იმ მიზეზით, რომელიც მათ დააწვადო. ავტორი ასახულებს, რომ ომიანობის ხანამ დაარწმუნა, თუ რა გაჭირვებას და სიძნელეს წარმოადგენს ჯარში დროებით გაწვეულ სამოქალაქო იურისტისათვის მის მიერ სამხედრო იურისდიქციის წარმოება. მას სჭირია დიდი ხასიათის სიმტკიცე, დაკვირვება, ამასთანავე უფლების და სამხედრო პროცედურის გაცნობა, რომ მის მიერ გამოტანილ განაჩენში არსებითი შეცდომები არ იქმნეს დაშვებული. მაგალითად, ამგვარ მსაჯულს დღესაც ვერ შეუგნია, თუ რა არსებითი განსხვავებაა დეზერტირისა და დაუკითხავად მხედრის მიერ თვისი ერთეულის დატოვებაში და სხვა.

საინტერესოა მეორე გამოჩენილი იურისტის როტერმუნდის აზრიც. იგი ამტკიცებს, რომ სამხედრო სასამართლოს გაუქმება სრულიად უნაყოფოდ დამთავრდაო, რადგან დარღვეულია სამი მთავარი მიზანი, რომელსაც სამხედრო სასამართლოები ისახავდნენ: — 1) სიჩქარე წარმოებისა, 2) სამხედრო წესდებების (რეგულამინების) ნაყოფიერად გამოყენება, 3) ჯარის ინტერესის დაცვა სასამართლოში.

ამგვარი მდგომარეობა მხოლოდ ართულებს საქმეს და თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ თანახმად კონსტიტუციისა, მსაჯულის უფლება მიენიჭა ქალს, ეს კომპლიკაცია უფრო გაღრმავდება, ვიდრე შეიცვლებაო.

ყურადღების ღირსია ამ მხრივ განსვენებული შაიდემონის შეხედულება, მის მიერ 1927 წელს გამოთქმული სამხედრო კრებულში: — სამხედრო სასამართლოს გაუქმებით მხოლოდ ქაოტიური მდგომარეობა შეიქმნა სახელმწიფო აპარატში, მან უნდობლობა გამოიწვია საზოგადოებაში მსაჯულისადმი, რადგან სამოქალაქო მსაჯულის საქმის და მხედრულ უფლების არ-ცოდნამ მხოლოდ არია სამხედრო იურისდიქცია და არავითარ მიზანს არ მიღწიაო და რომ ეს მდგომარეობა გამოსწორდეს, საჭიროა ან სამხედრო სასამართლოს აღდგენა, ან რაიმე

მისი მსგავსი დაწესებულების შექმნა, მაგ. 1) სამოქალაქო სასამართლოში სამხედრო სასამართლოს განყოფილების დაარსება, 2) რომ ერთეულების უფროსებს მაინიჭოს უფლება თავისი კომისიების მივლინების სხდომაზე, 3) მსაჯულნი სამხედრო წრიდან იყვნენ მივლინებულნიო.

ჩვენის აზრით უდავოა სამხედრო სასამართლოს საჭიროება ყველა იმ სახელმწიფოში, სადაც არსებობს მუდმივი, მოქმედი ჯარი. ომანობის ხანაში მით უმეტეს. კამათი სამხედრო სასამართლოს საკითხის შესახებ უნდა სწარმოებდეს უფრო მშვიდ და წყნარ ატმოსფერაში; შეუძლებელია იგი გახდეს პოლიტიკური პარტიების ბრძოლის იარაღად, რადგან სამხედრო სასამართლოს საკითხი არ გახლავს პოლიტიკური საკითხი, არამედ მხოლოდ და განსაკუთრებით მეცნიერული უფლების პრობლემა. სამწუხაროდ, გერმანიაში ეს საკითხი პოლიტიკურ პარტიათა ატმოსფერაში იყო განხილული და ამიტომაც მისი შედეგები ცხოვრებამ უარყო. საფრანგეთი უფრო დაკვირვებით მოიქცა.

**ეხლა შევეხოთ სამხედრო სასამართლოს რეფორმის საკითხს.**

ყველასათვის მარტივია, რომ კანონმდებლობა მხედრულია იგი თუ სამოქალაქო, დროებითია. იგი დროთა მსვლელობის ზეგავლენით იცვლება. უფლება, კანონი მხოლოდ განსაზღვრულ ხანაში მოქმედებს, მას აქვს განსაზღვრული დრო და ვადა საზოგადოების ფსიქოლოგიაში. უფლება იბადება, განიცდის ემბრიოლურ ცვლილებებს, შემდეგ დაქალაქდება, მოიჭამს თავის ხანას და ვარდება აგონიის განსაცდელში. აი სწორედ აქ, მისი ექიმი-მშობელი ქირურგიული სისტემით სპობს მის არსებობას, მას აუქმებს და მის მაგიერ ატარებს ცხოვრებაში უფრო ახალს, ზედმიწევნის, ხალხისათვის და დროსათვის გასაგებ საჭირო უფლებას. ერთი სიტყვით, ამ ცვლილებებს კანონმდებელი ატარებს **ევოლუციონური წესით.**

ეს ევოლუცია კი, ჩვენის აზრით, ორ მთავარ მომენტზეა დაყრდნობილი: — ერის და მოვალეობის **თვითშეგნებაზე.**

ორი მომენტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფსიქოლოგიურ-იმოციური ახასიათებს ერის კულტურას. ერი კი, როგორც მთლიანი ეროვნ-

ნული მასსა თავის კულტურულ წარმოებაში ვერ გაექცევა ამ კულტურის საფეხურებს. იგი საგანგებო წესით ამ საფეხურებს იცვლის და ღორძინდება. უდავოა, რომ საფრანგეთის ერს ამ კულტურის უმაღლესი საფეხური უკავია მსოფლიო ისტორიაში, მისი კულტურა გაცილებით შორსაა ჩვენზე. მაშასადამე, ის, რაც გატარდება საფრანგეთში, ჩვენში შესაძლებელია ყოველივე სიმახინჯით მოგვევლინოს და არც გატარდეს. საჭიროა იგივე ევოლუციონური გზით მოხდეს ჩვენში ცვლილება. ჩვენ უნდა შევიგნოთ და შევითვისოთ ჩვენი ერის (გლეხის, მუშის, ინტელიგენტის, ვაჭარ-მრეწველის და სხვა ეროვნული ელემენტების) არსებითი მხარეები და მისი მოთხოვნილებანი შეძლების-და-გვარად დაუკავშიროთ და არა მაიმუნური წამხედლობით გადავიტანოთ ჩვენი ერის ნიადაგზე.

საფრანგეთის ერს, მის მხედრობას დიდებული ტრადიციები აქვთ შექმნილი მსოფლიო ისტორიაში. ნაპოლეონის გრენადერი, მურატის მსგავსი ცხენოსანი მხედრობის ტრადიციების სიმშვენიერეს წარმოადგენენ. საფრანგეთის ერი, მიუხედავად დიდი რევოლუციისა, ნაპოლეონის ხანაში, როგორც მთლიანი ეროვნული ძალა გამოდის მსოფლიო მამუტაბის ასპარეზზე. მისი ხასიათის სიმტკიცე მხოლოდ ეროვნული თვითშეგნებით არის ნაკარნახი. ჩვენ დროს ამავე ერმა და მისმა დიდებულმა მხედრობამ საუკეთესო მაგალითი გადაგვიშალა წინ მსოფლიო ომის დროს.

მარშალ ფოშის და ჟოფრის სახელოვანმა მხედრობამ თავანწირული წინააღმდეგობა გაუწია ვერდენის და მარნის ციხე-სიმაგრეებზე შიგ შემოჭრილ მტერს და გამარჯვებით გამოვიდა ამ ბრძოლიდან. მისი ეროვნული წინააღმდეგობა მშვენიერი მაგალითია მისი ეროვნული დარაზმულობისა, ე. ი. მისი ეროვნული თვითშეგნებისა. იგივე დიდი **მოვალეობის** თვითშეგნება ახასიათებს ფრანგ მოქალაქეს. მას დიდი ღირსებითა და პატივისცემით აქვს წარმოდგენილი სასამართლოს და მსაჯულის ავტორიტეტი.

ჩვენი ერის ისტორია თავგანწირული ბრძოლაა ეროვნული თვითშეგნებისა. სასიკადულოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ერის დარაზმულობა უძველეს ხანიდან იწყება, მრავალი საარაკო მაგალითებით და ხასიათის სიმტკიცით იცავს იგი თავის ეროვნულ „მე“-ს. იგი არ ჩამოუვარდება საფრანგეთის ერის ეროვნულ თვითშეგნებას. უკანასკნელი მებრძოლი ამ ეროვნული დარაზმულობის — ალექსანდრე ბატონიშვილი — მშვენიერი მაგალითია ამ თვითშეგნებისა.

მოვალეობის თვითშეგნება კი გაცილებით დაჩლუნგებულია ჩვენ მასსაში. არცაა ეს საკვირველი! ჩვენი ხალხის ბედ-იღბალი რუსმა ჩინოვნიკმა ჩაიგდო ხელში. ჩვენი ერის თვისების გაუცნობელმა, ამ დაქირავებულმა მსაჯულმა თავისებურად გლიჯა ჩვენი ხალხის ურიცხვად ტანჯული სული. ხალხს დაეკარგა პატივისცემის გრძნობა სასამართლოსა და მსაჯულისადმი, რომელიც მის წარმოდგენაში უსამართლობისა და უკანონობის სინონიმია. ამით კი დაჩლუნგდა მასში გრძნობა მოვალეობის თვითშეგნებისა.. გარდა ამისა, ნიკოლოზ 1-ის ხანაში რუსეთში თავი იჩინა ეგრეთ წოდებულმა ნიჰილიზმმა და სხვა და სხვა ხილის უკიდურეს მიმართულებამ, რომელმაც შეიპყრო წარსული თაობის ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია.

აწმყო ჩვენი ერის იგივე სასოწარკვეთილებით არის აღსავსე. დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის და მასში გამეფებული ტერორი გააორკეცებს ხალხში მსაჯულისადმი არამც თუ უნდობლობას, არამედ ზიზღს ოკუპანტების წინააღმდეგ, მაშასადამე, უნდა მივიღოთ მხედველობაში ის **მძიმე მენკვიდრეობა**, რომელიც ხვედრად გვრჩება საბჭოთა რუსეთისაგან და აი, სწორედ აქ გვეჭირდება მეტი დაკვირვება, სიფრთხილე და ხასიათის სიმტკიცე, რომ ყველა ცვლილება ჯეროვანად იყოს გატარებული ჩვენი ერის ცხოვრებაში შექმნილ პირობების თანახმად. მოკლედ შემდეგი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ: —

სამხედრო სასამართლოს არსებობა უდავოა ჩვენთვის — შექმნილი უნდა იყოს თვითმომქმედი სამხედრო სასამართლოს კორპუსი — პირადი შემადგენლობა მუდმივი, რომელთა რიგებს შეადგენენ პრო-

კურორები, გამომძიებელნი და მდივნები. მისი თავჯდომარე ე. ი. სხდომის, მხედარია; მსაჯულთა შემადგენლობაც მხედრულია, მომქმედ საველე ჯარის რიგებიდან დროებით მივლინებული. სამხედრო დამცველი ზოგიერთ საქმეში აუცილებლად საჭიროა, ვინაიდან ამას ბრალდების გარანტიები მოითხოვს; იგი მხედარია; სასარგებლოა თვით საქმისათვის რომ იგი იყოს იურისტი. ასეთია პირველი ინსტანცია და საოლქო სასამართლოები. ჩვენში შეიძლება იყოს ერთი სასამართლო — ტფილისში — და რამდენიმე რაიონული სხვა ცენტრებში მაგ. ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სხვა.

ჩვენში უმაღლესი სამხედრო სასამართლო არაა საჭირო; მხოლოდ მესამე ინსტანციის საჭიროება აუცილებელია. ამიტომ აქ შეიძლება ვისარგებლოთ 9 მარტის უფლებით და უმაღლესი სასამართლოს კომპეტენცია გადავცეთ ად ლოკ შეკრებილ სამხედრო სხდომას, რომელსაც როგორც საფრანგეთში, თავჯდომარეობს სამოქალაქო სასამართლოს თავჯდომარის ამხანაგი, რომელიც განაგებს ყველა საქმეს, ჯარისკაციდან დაწყებული პოლკოვნიკის საქმემდე. გენერლის საქმეში კი თავჯდომარეობს სამოქალაქო სასამართლოს თავჯდომარე. უმაღლეს სასამართლოში სამოქალაქო მსაჯულის (თავჯდომარის) შეყვანა არამც თუ მავნედ, არამედ ნაყოფიერად მიგვაჩნია, ვინაიდან უმაღლესი სასამართლოს დანიშნულება უფლების ინტერპრეტაციაში გამოიხატება. სასამართლო არსებით არ ეხება თვით საქმის შინაარსს, მხოლოდ კანონის სამართლიანად გატარებას თვით საქმეში და სწორედ ამ მიზნისათვის საჭიროა დახელოვნებული, გამოცდილი იურისტი. ძველი მსაჯული, რომელიც მიუდგომლობით დაიცვავეს საქმეში უფლების ინტერესებს და სამართლის ავტორიტეტს.

რაც შეეხება სასამართლოს კომპეტენციას, აქაც 9 მარტის უფლებას ვუჭერთ მხარს. ყოველივე არა-მხედრული დანაშაული სამოქალაქო სასამართლოს უნდა გადაეცეს. ამით რასაკვირველია იმატებს საქმეების რიცხვი სამოქალაქო გამომძიებლის ჯებანში, მაგრამ სამაგიეროდ სამხედრო სასამართლოები ყოველივე სისწრაფით იმოქმედებენ, რითაც

საველეში, მწყობრში დისციპლინის ინტერესი სავსებით დაცული იქნება.

დასასრულ, სამხედრო დამცველის ინსტიტუცია, როგორც მუდმივი ორგანიზაცია არასდროს არ მიგვაჩნია საჭიროდ, ამით უარყოფთ 9 მარტის ცვლილებებს. ერთეულის უფროსის დისციპლინარული უფლება ჩვენში უნდა იყოს გადიდებული. ასეთია მოკლედ ჩვენი შეხედულება. ყოველ შემთხვევაში ასეთია სქემა დასმული საკითხისა, დაწვრილებით კი საგანგებოდ შეკრებილმა კომისიამ უნდა შექმნას სამხედრო სასამართლოს იურისდიქცია, რომელიც ჩვენი ჯარის და ხალხის საჭიროებისა დაგვარად, მიიღებს მხედველობაში ევროპაში მომხდარ ცვლილებებს და მათ ჩვენი ერის თვითშეგნებას დაუკავშირებს.

აღ. ყ—ი

## არტილერია, მისი დანიშნულება და გამოყენება თანამედროვე ბრძოლაში

7

თვალდევნა (ობსერვაცია)  
(დასასრული)

ცეცხლის ფაქტიურ მწარმოებლად არის მუდამ ბატარეის უფროსი; შემდეგი ზემო უფროსები კი გამოდიან დივიზიონისა და მთელი არტილერიის მხოლოდ ტაქტიკურ ხელმძღვანელებად. ამიტომაც მხოლოდ ბატარეის უფროსების თვალდევნისაგან არის დამოკიდებული სროლის სიზუსტე და სისწრაფე, და ისინი არც ერთ წუთს არ უნდა იყვნენ მოკლებული თვალდევნის საშუალებას. ეს გარემოება და აგრეთვე მი-

დამოს პირობები აიძულებენ მათ აირჩიონ რამდენიმე სათვალყურო პუნქტი.

ბატარეის უფროსების პუნქტები შეიძლება გაყოფილ იქმნან ორ ჯგუფად: —

ერთი ჯგუფი მიდამოს თვალსაზრისით,  
მეორე — სროლის ტექნიკისა.

მიდამოს თვალსაზრისით განვარჩევთ: მთავარ, დამხმარე და წინ-წაწეულ სათვალყურო პუნქტებს.

მთავარი სათვალყურო პუნქტი უნდა იძლეოდეს მხედველობას ბატარეის მოქმედების უმთავრეს ნაკვეთში და ეს თვალდევნა უნდა იყოს მუდმივი.

დამხმარე პუნქტები იძლევიან მხედველობას მოქმედების ფარგლების უფრო ნაკლებ მნიშვნელობის ნაკვეთებში და გამოყენებული არიან საჭიროებისამებრ.

წინწაწეული პუნქტები კი მდებარეობენ პირველი ხაზის მახლობლად, ან თვით პირველ ხაზშივე, მთავარ პუნქტიდან თვალდევნის შესავსებად. ამ პუნქტებიდან უმთავრესად სწარმოებს თვალდევნა სროლის საკუთარ ხაზთან ახლო მდებარე მიზნებისა.

გარდა ამისა, ყოველ ბატარეის უნდა ჰქონდეს საგანგაშო საგუ-შაგოები, ბატარეის პოზიციების მახლობლად, რომელნიც გამოყენებულნი იქმნებიან მთავარი პუნქტის დაკარგვისას, ან კიდევ მოპირდაპირის უეცარ დაახლოვებისას ბატარეისათან.

სროლის ტექნიკის თვალსაზრისით, სათვალყურო პუნქტებს განვარჩევთ: პირდაპირი, გვერდული (ირიბული) და გასწორივი თვალდევნა (დამოკიდებულება თვალდევნის ხაზისა სროლის ხაზისაგან).

პირდაპირ თვალდევნას ვუწოდებით ისეთ თვალდევნას, რომლის დროსაც გადახრა თვალდევნის ხაზისა სროლის ხაზის მიმართულები-საგან არ აღემატება 100 ათასედს (კუთხსაზომისა). ასეთი თვისების სა-თვალყურო პუნქტები არიან ყველაზე მეტად ხელსაყრელი. იძლევიან

ზუსტი თვალდევნის საშუალებას, როგორც მიმართულების, აგრეთვე მანძილის შესახებ, აადვილებენ მისროლას და ამცირებენ მის დროს. ამიტომ ყოველი ბატარეის უფროსის მუდმივ მისწრაფებას უნდა წარმოადგენდეს, შეძლების დაგვარად, აირჩიოს ასეთი პუნქტები.

გვერდულ თვალდევნისას ამ ორი ხსენებული ხაზების გადახრა აღწევს 600 ათასედამდე (30 გრ.). ამგვარი თვალდევნა წარმოადგენს ერთგვარ სიძნელეს მისროლაში, მოითხოვს მსროლელთა დახელოვნებას, აგრძელებს მისროლის დროს და იწვევს ჭურვების გაცილებით მეტ ხარჯს.

გასწრივი თვალდევნა არის ისეთი თვალდევნა, სადაც გადახრა ამ ხაზებისა არის 600 ათასედზე მეტი, ეს იძლევა საშუალებას ზუსტად მანძილის მისროლისა, მაგრამ აძნელებს მიმართულების მისროლას. საზოგადოთ ფრიად აძნელებს მისროლის წარმოებას, ვინაიდან გაფანტვა ჭურვებისა სიღრმეში (მანძილზე) არის გაცილებით მეტი, ვინემ მიმართულებით (სიგანეზე), აგრძელებს დროს მისროლისა, მოითხოვს კარგად დახელოვნებას; ამგვარი თვალდევნის დროს სროლა საკუთარ ხაზთან ახლო მდებარე მიზნებზე ფრიად ძნელი და სახიფათოა; დაბოლოს ამგვარი პუნქტები მუდამ ფრიად შორს იმყოფებიან ბატარეის პოზიციებისაგან და ეს კი აძნელებს კავშირს.

სროლის გასაადვილებლად შესაძლებელია თვალდევნის წარმოება ერთდროულად, რამოდენიმე სხვა და სხვა სათვალეურო პუნქტის საშუალებით. ამგვარი თვალდევნა აადვილებს მიდამოს უძნელეს პირობებშიაც მისროლას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება სიზუსტით გამოირკვეს არა მხოლოდ გადახრის სახე, არამედ მისი რაოდენობაც. ასეთი თვალდევნის მოწყობა მოითხოვს წინასწარ მომზადებას და მათასადმე შეუძლებელია მისი წარმოება ყოველგვარ მდგომარეობაში. ამ რიგად წარმოებულ თვალდევნას ვუწოდებთ რთულ თვალდევნას.

თვალდევნისა და მისი განუწყვეტლობის პასუხისმგებლობა ედება ყოველ სათანადო უფროსს. ბრძოლის დროს ბატარეის, და დივიზიონ-

ნის უფროსები არსებითად პირადათ უნდა აწარმოებდნენ თვალდევნას. თუ კი გარემოება ნებას იძლევა, დივიზიონის ან ბატარეის უფროსები ნიშნავენ მეთვალყურეებად რივრიგობით თავიანთ ოფიცრებს და კიდევ რამოდენიმე ნაცვალს, სპეციალურად ამ დარგში გაწვრთნილთ.

ყოველი ცნობა და შემჩნევა სათვალყურო პუნქტზე უნდა იწერებოდეს სათვალყურო დღიურში, რომელიც მუდამ უნდა იყოს პუნქტზე. ნაწილების შეცვლისას დღიურები გადაეცემა სათვალყურო პუნქტზე ახალ-მოსულ ნაწილებს და ამგვარად იქნება მათთვის ცნობების მიმწოდებლად.

**ჰაერიდან თვალდევნა** სწარმოებს აეროპლანებისა და ბლონების საშუალებით. მათ მიზანს შეადგენს: —

— მიზნების დაზვერვა,

— მისროლა და ცეცხლის კონტროლი,

სურათების გადაღება (ფოტოგრაფიული აპარატის საშუალებით) მიზნებისა და სროლის შედეგების.

არტილერიის შორსროლის ზრდამ და ჯართა სიღრმეში დაჯგუფებამ გააძნელა ფრიად სათანადო თვალდევნის შესაძლებლობა, ვინაიდან მიდამო არ იძლევა მუდამ ხელსაყრელ პუნქტებს, საიდანაც მოსახერხებელი იქნება საკმარისად თვალდევნის წარმოება მოპირდაპირის სფეროს სიღრმეში. ამგვარი დაბრკოლების გადასალახად მსოფლიო ომის დროს გამოყენებულ იქმნა ავიაცია და ბლონები, რომელთაც თანდათან მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდათ, და რომელნიც თვალდევნის საშუალებას იძლევიან გაცილებით დიდ სიღრმეში (თითქმის შეუზღუდავად აეროპლანებისათვის) და აგრეთვე არედან დაფარულ მიზნებზე.

ასეთი თვალდევნის შეძლებისათვის და თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად არტილერიის და მფრინავთა და ბლონებთა შორის, აუცილებელია ორივე მხარის უფროსების ერთმანეთთან კავშირი და მოქმედების მოგვარება. ამის გამოც, მფრინავები და ბლონების ოფიცრები უნდა ისწრაფოდნენ არტილერიის უფროსებთან ხშირ პირად კავშირისაკენ.

შევუდგეთ ესლა თვალდევნის დახასიათებას თვითეულ ამ საშუალების დახმარებით.

აეროპლანების გამოყენება შევუღ თვალდევნის ნებას იძლევა და გაცილებით აღრმავებს დაზვერვის შესაძლებლობას, მოსახერხებლად ქმნის არედან და ბალონებიდან მეთვალყურეთათვის უჩინარ მიზნების თვალდევნას.

დაზვერვა და ფოტოგრაფიული სურათები, წარმოდგენილი მფრინავთა მიერ აღრიანად, არტილერიის უფროსებს აწვდიან აუცილებელ ცნობებს გადაწყვეტილების მისაღებად, აძლევენ სათანადო წარმოდგენას მოპირდაპირის დაჯგუფებისა და მისი განზრახვების შესახებ და ეს კი ყველა არის ფუძე არტილერიის გამოყენებისათვის ბრძანების გასაცემად.

ცეცხლის წარმოების ტექნიკური მიღწევანი, მფრინავთა თვალდევნასთან ერთად, საშუალებას იძლევიან მათ მიერ მხოლოდ ცეცხლის კონტროლისა. მისროლის მაგივრად ფოტოგრაფიული სურათების საშუალებით კი შეძლება გვექნება ზუსტად გამოვარკვიოთ რუქაზე მოპირდაპირის არტილერიის მდებარეობა, რომელიც თითქმის მუდამ უჩინარი იქნება არედან მეთვალყურესათვის. გარდა ამისა, მფრინავებს შეუძლიათ დიდი დახმარების გაწევა მისროლაში ფარულ მიზნებზე, რომელიც აღმოჩენილი იქნება მათ მიერ.

მფრინავთა საშუალებით თვალდევნის ნაკლს წარმოადგენს დამოკიდებულება ამინდისაგან და მისი არა მუდმივობა. ფრენის დრო არის შეზღუდული, საშუალო 2-2ნახევარი საათი, უდიდესი 3ნახევარ სათამდე. ერთ და იმავე მფრინავს და მეთვალყურეს შეუძლიათ ფრენის მხოლოდ ორჯერ წარმოება დღიურად. მათი მოქმედების ნაყოფიანობა დამოკიდებულია მოპირდაპირის ძვრინავთა და საჰაერო მოგერიების საშუალებათა მოქმედებისაგან; კარგად მოქმედება შესაძლებელი ხდება მხოლოდ ჰაერში ბატონობის უზრუნველყოფისას. არტილერიასთან თანამშრომელ აეროპლანების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 5-ს ერთ კილომეტრის ფრონტზე.

აეროპლანიდან მეთვალყურე კავშირს იჭერს არტილერიასთან დიოტელეგრაფის, რადიოტელეფონის და მაშხალების საშუალებით, აგრეთვე წერილობით (განსაკუთრებულ ტომრებში მოთავსებულ ბარათების ჩამოგდებით); ქვემოდან მფრინავს აწოდებენ ცნობებს სანიშნო ფარების საშუალებით.

ბალონების თვალდევნას ახასიათებს: —

შედარებით უძრავობა სათვალყურო პუნქტისა (ვინაიდან დაბმულია ერთ ადგილას);

კავშირის სიადვილე არტილერიასთან (ტელეფონის საშუალებით); დიდი მხედველობის სივრცე (25 კილომეტრამდე).

გამოყენება მათი დიდათ დამოკიდებულია ამინდისაგან. ქარი, რომლის სიჩქარე აღემატება 20 მეტრს წამში, ნისლი, წვიმა და თოვლი შეუძლებლად ქმნიან მათ გამოყენებას. გაძნელებულია ბალონზე, რყევის გამო, ზუსტი საზომავი იარაღების გამოყენება. მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვან-გადმოყვანა არის ძნელი და მოითხოვს კარგ გზებს, ვინაიდან მიბმულია მძიმე ავტომობილზე. ბალონების თვალდევნის დიდ სიძნელეს წარმოადგენს აგრეთვე მანძილის შეფასება, შეიძლება დიდი შეცდომის დაშვება შორს მდებარე მიზნების გამორკვევის დროს.

მისროლის წარმოება ბალონიდან არის ძნელი, ხანგრძლივი, და იწვევს ხარჯს ჭურვების დიდი რიცხვისა, ვინაიდან თვალდევნა, შედარებით დედამიწის დონესთან, სწარმოებს პატარა კუთხით, მიუხედავად ბალონების ჩვეულებრივ 800-1000 მეტრის სიმაღლეზე ყოფნისა, რის გამოც მიდამოს უსწორმაწორობა ნეთვალყურეს თვალისათვის იკარგება და გამოსჩანს როგორც მთლიანი სიბრტყე. მანძილის სათანადო განსაზღვრა შესაძლებელი ხდება მხოლოდ საჭირო პუნქტის მდებარეობის რუქაზე გამორკვევისას.

დაბოლოს ბალონი წარმოადგენს ფრიად ძვირფას საგანს და ვინაიდან არის დიდი და უძრავი, ადვილად ზიანდება მოპირდაპირის არტილერიისა და ავიაციის მიერ. ამის გამოც გამოყენებულია უმთავრესად არტილერიის მაღალ უფროსების სასარგებლოდ თვალდევნისათვის, სა-

არტილერიო დაზვერვისათვის და შორს მსროლ არტილერიის ცეცხლის ხელმძღვანელობისათვის.

ბალონის აფრენის ადგილი არ უნდა იყოს დაახლოვებული საკუთარ წინა ხაზთან 6 კილომეტრზე ნაკლებათ. საშუალო მანძილი არის 6-9 კილომეტრი პირველი ხაზიდან

მრავალ აღმოჩენათა და მიღწევათა შედეგათ ოპტიკურ, აკუსტიკურ და ტოპოგრაფიის დარგში, წარმოიშვა საარტილერიო თვალდევნის ახალი დარგი, ე. წ. განსაკუთრებული თვალდევნა.

ეს თვალდევნა ემყარება ცნობების შეკრებას და მიზანთა მდებარეობის გამორკვევას განსაკუთრებულ ხელსაწყოთა და იარაღის საშუალებით. ეს არის თვალდევნის მექანიკური საშუალება, რომელსაც აწარმოებენ განსაკუთრებით ამისათვის შექმნილი „სარტილერიო განზომვათა ბატარეები“.

ეს ბატარეები უნდა იყოს შემდეგნაირად: —

- აკუსტიკურ ზომვისა,
- ოპტიკურ ზომვისა და
- ტელემეტრიულ მწყობრისაგან.

განზომვათა ბატარეების დანიშნულებას წარმოადგენს: —

მნიშვნელოვან მიზნების, განსაკუთრებით მოპირდაპირის არტილერიის აღმოჩენა და მდებარეობის გამორკვევა; მისროლის წარმოება და ფოტოგრაფიული სურათების გადაღება.

მათ მიერ თვალდევნა სწარმოებს დიდი ერთეულების არტილერიის უფროსების დავალებათა მიხედვით, და მოქმედების შედეგი ეგზავნება არტილერიის სათანადო უფროსების ზვერვის სამსახურის ორგანოებს.

განვიხილოთ ეხლა ამ ბატარეათა შემადგენლობაში მყოფ თვითეული მწყობრის მოქმედება.

აკუსტიკურ ზომვის მწყობრის დანიშნულებას წარმოადგენს მოპირდაპირის ბატარეების აღმოჩენა ან კონტროლი, უკვე სხვა საშუალებათა წყალობით გამორკვეულ. მათი მდებარეობის ადგილისა. ამას

დღწევინ საგუშაგოების მოთავსებით ტოპოგრაფიულად გარკვეულ პუნქტებზე, რომელნიც განსაკუთრებული აპარატების წყალობით არკვევენ ტოპოგრაფიულ მდებარეობას ბგერის წყაროს მიხედვით. ამ საგუშაგოების რიცხვი უნდა იყოს 3-4. მათ მომზადებას მოქმედებისათვის მდგომარეობის მიხედვით, სჭირდება 6-24 საათამდე.

ოპტიკური ზომის მწყობრი სამი-ოთხი სათვალყურო საგუშაგოების მოთავსებით მიდამოს ზუსტად გაზომილ ბაზაზე, ფრიად ზუსტი ოპტიკური აპარატების საშუალებათ, კვეთით რამოდენიმე პუნქტიდან ერთი პუნქტისა (მოპირდაპირის მსროლელ ქვემეხის ცეცხლის შუქი ან კვამლი) არკვევენ მოპირდაპირის ბატარეების მდებარეობას. მათი გამოყენება შესაძლებელია აგრეთვე მისროლის წარმოებისათვის, რასაც თავიანთი სათვალყური აპარატებით ფრიად აადვილებენ. მოქმედებისათვის მოსამზადებელი დრო აღემატება 6 საათს.

ტელემეტრიური მწყობრის დანიშნულება არის მისროლის წარმოება უჩინარ მიზნებზე, რომელთა ტოპოგრაფიული მდებარეობა გარკვევითაა ცნობილი. მისროლას აწარმოებენ განსაკუთრებული ოპტიკური აპარატების საშუალებით მაღალ სკდომების თვალდეგნით.

თვალდეგნის გვარებისა და საშუალებათა ამ მოკლე განხილვით ვერწმუნდებით, რომ მთავარი თვალდეგნა მაინც მუდამ არედან თვალდეგნა რჩება, სხვა დანარჩენი გვარი თვალდეგნისა არის მხოლოდ დამხმარე, რომლის მნიშვნელობა თანდათან იზრდება ფრონტის თანდათანობით დამყარება-ჩამოყალიბების დროს. ყველა ამ თვალდეგნის გვარების და საშუალებათა სათანადო და მოხერხებულად გამოყენებას შეუძლია უწრუნველჰყოს სროლის სათანადო წარმოება, ურომლისოდაც თანამედროვე ომში წინსვლა და გამარჯვების მიღწევა შეუძლებელია.

ლ . მ .

## მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა

1089 — 1222 წლამდე\*)

მეთერთმეტე საუკუნის უკანასკნელ ხანებში, ესე იგი, იმ დროს, როცა მოკვდა სულტანი მელიქ შაჰი, მფლობელი სპარსეთისა, ასურეთისა და მისირიისა (მისირი — ეგვიპტე) და, როცა გამოვიდნენ ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, საქართველოს სამეფო ტახტი დაიპყრა დავით აღმაშენებელმა. — მან შეავსო, გააგრძელა და გააწყობა ივერიის სახელმწიფო, რომლის სამზღვარნი იყვნენ: ჩრდილოეთისაკენ — დიდი კავკასიის მთები, სამხრეთისაკენ — არაქსის მდინარე და მტკვრის ბოლო, დასავლეთისაკენ — შავი ზღვა ნიკოფსიდან (ნიკოფსი — ციხე-ქალაქი სუხუმის დასავლეთისაკენ) ვიდრე ჭოროხამდე და აღმოსავლეთისაკენ — გურგენის (კასპიის) ზღვა დარუბანდიდან (დარუბანდი — დერბენტი) მტკვრის ბოლომდე.

დავით აღმაშენებლის შემდეგ მეფეთა დიმიტრი 1-მა, გიორგი 3 და თამარმა (1125 — 1212) განაგრძეს წესი და რიგი თავიანთ დიდებულ წინაპარისა. ამათ მეფობის დროს საქართველომ არა თუ განისვენა მტერის განუწყვეტელ თავს დასხმისა და აოხრებისაგან, არამედ თვით პირ-იქით აწუხებდა სპარსელთა და ასურელთა. — თამარის მეფობის

\*) გადმობეჭდილია ჟურნალ „ცერია“-დან, № 10, 1883 წ.

დროს, საქართველოს არა ერთხელ გაულაშქრნი სპარსეთისაკენ რიზამდე და ასურეთისაკენ შორს გაცილებია ტრაპეზონსა და არზრუმსა. —

ამ სახელოვანს დროს საქართველოსას დაწყობილება სახელმწიფოსა ეშესაბამებოდა ფეოდალურ ცხოვრებასა ჴუა-საუკუნოებისასა ევროპაში და ლაშქრობის წესი მოქმედებდა იმ სამხედრო ხელოვნების მოთხოვნილებითა, რომელიც წინა-საუკუნეებში შეითვისეს ქართველებმან ბერძენთადან. საკუთარი საქართველოსა სამეფო, ე. ი. ლიხთ-იმერეთი, ჴემო და ქვემო ქართლი და კახეთი, განყოფილი იყო რამდენსამე საერისთავოდ: დასავლეთისაკენ იყვნენ საერისთავონი **ცხუმის** ანუ **აბხაზეთისა, ოდიშისა** ანუ **სამეგრელოსა, სვანეთისა, თავკვერ** (თავკვერი — ლეჩხუმი)-**რაჭისა, აწინდელ იმერეთისა, გურიისა; ჴ ე მ ო ქ ა რ თ ლ შ ი** — **სამცხისა, ჯავახეთისა, წუნაგოისა** (წუნაგო — აწინდელ არდაგანის ოლქში იყო) და **კლარჯეთისა** (ქოროხის პირზე); მას გარდა საერისთავონი **შ ი და - ქ ა რ თ ლ ი ს ა**; **ალგეთის, ხრამის და დებედის პირსა** — **ხ უ ნ ა ნ ი ს ა და ს ა მ შ ვ ი ლ დ ი ს ა**; **კახეთსა და ჴერეთში** (ქვემო-კახეთი) იყვნენ ხუთი საერისთავონი; ხოლო ომით დაპყრობილნი ქვეყნები სომხებისა არაქსის მარცხენა პირზედა და მოსლემინთა — მტკვრის ბოლო ნაპირებზედ მორჩილობდენ ჴოგან თავის მთავრებსა, ჴოგან ქართველთ დიდებულებს, რომელთაც თვითონ საქარაველოს მეფე ჰნიშნავდა. (მაგალითებრ, დავით აღმაშენებელმა მმართველობა შირვანისა ჩააბარა სიმეონ ჴყონდიდსა; სომხების ქალაქი ანი გიორგი მე-3 ჩამოართვა ვარდან დადიანსა და ეს მდიდარი ქალაქი ჯერ მისცა იოანე ორბელსა და მერე გარდასცა სარქის მხარგრძელსა).

ერისთავნი თავის საერისთავოს განაგებდნენ, ვითარცა მთავარნი, მაგრამ ექვემდებარებოდენ მეფესა. დამოკიდებულება მათი მეფეზე ცხადი იყო არა მარტო მით, რომ მეფეს შეეძლო გადაეცა ერისთავობა სხვისთვისა — იმავე გვარისა იქნებოდა, თუ სხვა კაცი, რომელსაც ჴპოვებდა ღირსად განდიდებისა, არამედ მითაც, რომ ერისთავნი იმავე დროს იყვნენ მეფის სასახლის მოხელედაცა ე. ი. სახლთ-უხუცესად, მანდატუროთ-

უხუცესად, მეჯინიბეთ-უხუცესად და სხვა და სხვა... ყოველი საეროს თავო იყო ნაწილი ქვეყნისა, რომელსაც განაგებდა ერისთავი, ვითარცა სამოქალაქო მმართველი და ამასთანავე საერისთავო იყო სამხედრო სამმართველოც და შეადგენდა **სასპასპეტოს** და თვით ერისთავი იყო **სპასალარი** საერისთავო სპისა. როგორც მიღებულია, რიცხვი მაშინდელი საქართველოს მცხოვრებთა მიაღწევდა ოთხ-მილიონამდე. ხოლო თუ ვიანგარიშებთ, რომ ათას სულზედ 10 კაციდამ 15-მდე მეომარი ადვილად გამოვა, ოცი საერისთავო მაშინდელი გამოიყვანდა საომრად 40-50 ათასამდე მეომარსა. — ეს რიცხვი არ იქნება ნამეტური, თუ განვიხილავთ ლაშქრობას საქართველოსასა გიორგი მე-3 ანუ თამარის მეფობის დროს და წარმოვიდგინოთ სივრცეს მაჰმადიან ქვეყნებისას, რომელნიც ეპყრათ ქართველთა მეფეთა და რომელთა შერჩენისათვის საჭირო იყო ბევრი და ერთგული სპა. — გარდა დამახილის ჯარისა, რომელსაც მოსცემდა სამშობლოსა ოცი საერისთავო. იმ სახელოვან დროის მეფეებს ჰყვანდათ სამუდამო სპაცა ე. ი. ლაშქარი როქითა (როქა — ჯამაგირი ბერძნულად). ეს მუდმივი სპა გააჩინა დავით აღმაშენებელმა. ხოლო როდესაც შენიშნა, რომ საქართველოს სპანი ვერ აუვიდოდენ მისგან აღნიშნულ სამხედრო განზრახვათა, თვითონვე გაემგზავრა ოვსთა იქით მცხოვრებთა ყივჩაღთა მიმართ და გარდმოიყვანა საქართველოში **ორმოცი ათასი** სული, დედა-წულითა მათითა (ბროსსე, ისტუარ დე ლა ჟორჟი. პარ 1. პაე 363). — ამ სახით დავით აღმაშენებელმა თავდაპირველად შეადგინა მუდმივი **როქის სპა**, რომელშიაც იყვნენ: — 15 000 ყივჩაღნი, 500 ალანი, 100 ფრანგნი და 5 000 სანდონი და გამოცდილნი სიმხნითა ქართველნი; ყველა ესენი იყვნენ გაწყობილნი ცხენითა და საჭურველითა და დას-დასად დაყოფილნი. როქის სპამ შემდეგ მიაღწია 60 ათას კაცამდე.

უადგილო არ იქნება შევნიშნოთ აქ, რომ მთიულნი და ჩრდილოეთ კავკასიელნი ისე ხალისიანად მიისწრაფოდენ საქართველოს ლაშქარში ამ სახელოვან მეფეების დროს, როგორც ბალკანელი სლოვანები ბიზანტიის მხედრობაში.

ყიჯაღთა და ოგსთა ყოფნა საქართველოს ლაშქარში, შენიშნულია არა მხოლოდ აღმაშენებლის დროს, რომელმაც იცოდა მათი მიმხრობა, არამედ გიორგი მეფისა და თამარის დროსაც. მაგ. 1203 წ. ივანი იყვნენ სხვათა შორის შამქორის ომში, სადაც ლაშქარმა თამარ მეფისამ დაამარცხა სპარსელები.

სამსახური როქი-სპისა, რომლის უფროსსაც უწოდებდნენ **მსახურთ** ანუ **მონათ-ხუცესაა**, იყო შემდეგი: მეციხოვნობა ციხე-ქალაქებში, რომელთაც ქვეყნისათვის დიდი სიმაგრის მნიშვნელობა ჰქონდათ; მეფესთან ქეშკად ყოფნა და განსაკუთრებულს ადგილს დგომა ომში. ამ უკანასკნელს მოვალეობას როქის სპისას ქვემორედაც განვმარტავთ.

აშკარაა, დიდი გაძლოლა უნდოდა მუდმივს ლაშქარს 60 000 კაცისას, რომელსაც ჯამაგირიც უნდა მისცემოდა. რადგანაც თვითონ სახელი როქის სპა ჯამაგირზედ დაყენებულს ლაშქარსა ჰქვიან. სჩანს იმ დროთა მეფეებს დიდი შეძლება და სიმდიდრე უნდა ჰქონოდათ.

და ეს შეძლება რომ ჰქონიათ, ამაზედ ეჭვი არ უნდა იყოს. თუ წარმოვიდგენთ შემდგომ ვითარებასა: მკვიდრნი ქართველნი, როგორც მოგახსენეთ, მიაღწევდნენ ოთხ-მილიონამდე; ამდენივე, თუ არა ძეტი, იყვნენ სომხები და მაჰმადიანნი, რომელნიც სიმდიდრით და მამულების სიდიდით ქართველებზედ მეტნი იყვნენ; მთელი აღმოსავლეთის კერძო სამხრეთის კავკასიისა, სადაც დიდი და მდიდარი ქალაქები იყო, როგორც ანისი („ქართლის ცხოვრება“, გვერ. 266: „...ქალაქად ანისად, რომელსა შინა მოდღესამდე არს ათ-ას და ერთი ეკკლესია“...), უზიდვიდა ხარაჯას მაშინდელ მეფეებსა. მეორე წყარო შემოსავალისა იყო ნაალაფევი (ალაფი — ლაშქრობაში ნაშოვნი). — ქართლის მემატონენი და უცხონიცა მოწმობენ, რომ სელჯუქნი (სელჯუქნი — თურქთა ნათესავი ერია ამათ დაიპყრეს წინა-მხარი აზიისა მე-9, 10, 11 საუკუნეებში), როდესაც გაილაშქრებდნენ, თან დაატარებდნენ ყოველსავე თავის ქონებას: ოქროსა და ვერცხლსა, ინდოეთის ფარჩასა და თვალ-მარგალიტსა, ძვირფასსა არაბულსა ცხენებსა და საომარ იარაღს; მათზედ გამარჯვებულნი ალაფით აივსებოდნენ ხოლმე. ამ ნაირი შემოსავალი არ მოჰ-

კლებიათ ქართველებსა დავითის, დიმიტრის, გიორგისა და თამარის მეფობაში, რადგან ამათ დროს განუწყვეტელი ომები იყო და ყოველთვის გამარჯვება მათ რჩებოდათ. შამქორის (1203 წ.) და ბოლოსტიკის ომში (1204 წ.) იმდენი ალაფით აღივსნენ ყოველნი ქართლის მეომარნი, რომ „ველნი გარემოს თბილისისანი ვერლარა იტევდა კაცსა, ცხენსა, ჯორსა და აქლემსა და ეს-ოდენ მოსაწყენელცა იყო სიმრავლე ტყვეთა. ვიდრემდის შეიყვანიან ქალაქად, ერთად კუტლად (კუტალი — კოვზი) ფუკირად (ფუკა — ხის ფინჯანი) გაყიდიან და სეფენი (სეფე — პალატი) დიდებულთანი და აზნაურთანი აღივსნენ ქურჭელთა მრავალსაზეთა, თვალთა პატიოსანთა, ნაქსოვთა ფერად-ფერადთა; ყოველი საგანძური ოქროთა ვითარცა მიწათა, ჰინდოურითა ქვითა და პატიოსანთა მარგალიტთა მიერ ურიცხვთა და ამისი მოწამე თვით იგი ღმერთი არს ...“ („ქართლის ცხოვრება“, გვერდი 308—309). დავით აღმაშენებელი თავის ანდერძში იხსენიებს ზედა და ქვედა სახელმწიფო საღაროებსა; მისი ცხოვრების აღმწერი ამბობს, რომ „თვისსა მოძღვარსა იოანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი (ოქროს ფული) ვითარ ოცდაოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა, და ესეც მცირედი მრავლისაგან თქტმად შეუძლებელი“. (იქ. გვ. 257). ყოველივე ეს და იგიც რომ მრავალი ეკლესიები და ტაძრები უშენებიათ, უხვად უგზავნიათ საბერძნეთისა და პალესტინის ეკლესიებისათვის შესაწირავად მრავალი ვანძი, გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ შემოსავალი იმ დროინდელ მეფეებისა საკმარისი იქნებოდა 60 000 როქის სპის გასაძლოლად და დასაკმაყოფილებლად.

საომარნი საჭურველნი ქართველთა სპათა, აქვენდათ: მშვილდ-ისარნი, ისარნი ბოძალი (ბოძალი — პრტყელ-წვერიანი ისარი) დიდთა ნანადირთათვის, ქეიბური (ქეიბური — მომცრო სანადირო ისარი), შუბი, ლახტი, ჩუგლუგი (ჩუგლუგი — მცირე წერაქვი) გურზი, ხმალი, სატევარი და ფარი, ჩაბალახი, მუზარაღი, ჯავშანი და საბარკულნი. ხვარასანში ნაკეთი იარაღი იმ დროისა ყოველგან აღმოსავლეთში განთქმული იყო (ვეფხისტყაოსანი, გვერდი 52 და 202: — აღლუმი ვნახე, მეფეთა ლაშქართა მოკაზმულობა, სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმუ-

ლობა, ტაიქთა მათთა სიკეთე, **აბჯრისა ხვარაზმულობა**“. „კაცი ოთხმოც  
ცი ათასი, ყველი დაკაზმულია, კაცსა და ცხენსა ემოსა, **აბჯარი ხვა-  
რაზმულია**“). მთიული ქართველები: სტანი, აფხაზი, რაჭველი და  
ფხოელი (ფხოელს უწოდებდენ ძველად ფშავ-ხევსურს. ლეოლრაფიული  
აღწერა საქართველოსა ბატონ.-შვილის ვახუშტის მიერ) უფრო შე-  
ბურვილნი იყვნენ შვილდ-ისარითა, ფარითა, სატევარითა და ჩაბალახ-  
ჯავშანითა; ბარში მცხოვრებნი, როგორც უფრო ცხენოსანნი — შუ-  
ბითა, ლახტითა, გურზითა, მუზარადითა და ჯავშან-საბარკულითა.

ძნელია იფიქროს კაცმა, რომ მაშინდელი საქართველოს სპანი სა-  
ზოგადოთ ერთგვარად შექურვილნი ყოფილიყვნენ, რადგანაც მხოლოდ  
გაქირვების დროს მოწოდებულ იქნებოდენ ხოლმე საომრად, როგორც  
ეხლანდელი მილიციები. ხოლო შესაძლებელია, რომ როქის სპა ყოფი-  
ლიყო ერთგვარად დაიარაღებული, რადგანაც მეფისაგან ყოველისფრით  
განწყობილს, კარგად გაწვრთნილს მუდმივს ჯარს შეადგენდა და პირ-  
დაპირ გამგებლად თვით მეფე ჰყავდა. დავით აღმაშენებლის ცხოვრე-  
ბის აღმწერი იტყვის: „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრო-  
მანი და გინებანი ღვთის განმარისხებელი, და ყოველი უწესობა ჰო-  
სპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა, და ურიცხვსა მას შინა სიმრავლე-  
სა ენათა ნათესავთა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის“, და „მცირედ  
-მცირედ ბრძოლითა და სწავლითა, გონიერად და ღონიერად წინა-ძლო-  
მითა, და მრავალთა ძლევითა მიერ მოგვარებითა არა განეწვართნეს  
სპანი თვისნი, და განეკადნიერნეს წყობათა მიერ მხნეთა, ქებითა და ნი-  
ჭითა, ხოლო ჯაბანთა სადედოთა ჩაცმითა და კიცხვით ძაგებითა, არამ-  
ცა ელონნა, ვიდრემდის სპათა შორის მისთა, ყოვლად არა იპოვებოდა  
ჯაბნად ზრახული“. ამ სიტყვებიდან ჰსჩანს, რომ დავით აღმაშენებელ-  
სა დიდი ყურადღება და ზედა-მხედველობა ჰქონია სპათა ზედა და უჩა-  
ცანია განეწვრთნა იგინი, ვითარ შეშვენის გამართულსა ლაშქარსა  
(გამართული ლაშქარი — რეგულიარული ჯარი) .—

იმ დროს საქართველოს სიმაგრეს შეადგენდნენ რამდენიმე ციხე-  
ქალაქნი, რომელთა ზღუდენი სიმაღლითა მიაღწევდნენ ექვსიდან 10

აღლამდე, კოშკი — 16 ადლიდამ 28-მდე; კოშკებს უფრო ზღუდის კუთხეებში აგებდენ; კოშკი იყენენ შშვილდმოისარნი. და დადგამდენ **ფილაკოვანსა** (ფილაკოვანი — ქვის სასროლი მაშინა, ბერძნულად) ციხისა დაცვა და აღებასა ქართველები განაგებდენ ბერძენთა მიბაძვითა და ხმარობდენ **ნალმსა** (ნალმი — შეთხრილი შესავალი — პოდკოპ), **ტარონსა** (ტარონი — მაშინა იყო გალავნის მრღვეველი) და ფილაკოვანსა. სიკეთე და ხელოვნება არ აკლდათ საომარ მაშინებსა, რომელსაცა ხმარობდენ ქართველები. — 1042 წ. მცხოვრებნი ახლანდელის ავღაბარისა გადუდგენენ მეფე ბაგრატსა, ჩატეხეს ხიდები მეტეხის ძირას გადებულნი მტკვარზედ. ბაგრატი თავის ჯარითა დარჩა მტკვრის მარჯვნივ ნაპირას და კოშკებიდან დაუშინა ფილაკოვანნი, რომელთა მოქმედება ისეთი ძლიერი იყო 150 — 200ადლზედ, რომ განდგომილნი ორ დღეში დამორჩილდნენ. — ციხენი, რომელთაც ამ დროს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, სამეფოს სამხრეთის მხარეზედ იყენენ. რადგანაც დასავლეთის კერძო მაშინდელი საქართველოსა დაცული იყო შავი ზღვით, აღმოსავლეთისა — გურგენის ზღვით და ჩრდილოეთისა კერძოდ ხომ მთელის კავკასიის შესავალ-გასასავალი გზები ხელთ ეყურათ — ნიკოფსიდან დარუბანდამდე, შთებოდა მხოლოდ სამხრეთის კერძო დასაცველი. ამ კერძოსაკენ იყენენ ციხენი: თორთუმი, ოლთისი, არტანუჯი, და თუხარისი კლარჯეთში; არტანისი (არდავანი), ახალ-ქალაქი, თმოგვი, ახალციხე, ოძრახო სამცხესა და ჯავახეთში. ამ უკანასკნელ ციხეებსა ჰქონდათ განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც მოსავლეთიდან — ქართლ-კახნი და სამხრეთ-დასავლეთიდან — მეშეკვრიდნენ შემოსავალ გზებსა და მათ მფარველობისა ქვეშ მოიყრიდენ თავს მეომარნი: დასავლეთიდან — აბხაზ-იმერნი, ჩრდილოეთ-აღსანი. — საქართველოსა სომხეთში, ე. ი. ალგეთისა, ხრამისა და დებედის ხეობებში იყენენ რამდენიმე ციხენი: ლლდე-კარი, დმანისი, სამშვილდე, აგარანი (ხუნანი), ლორი და სხვა და სხ. მხოლოდ მათ არა ქონდათ დიდი მნიშვნელობა, რადგანაც მათ წინა სამხრეთისაკენ ზომების მამულეები არაქსამდე დაპყრობილი ჰქონდათ ქართველ მეფეებსა

და ციხე ქალაქსა შინა (ანისში და დოვინში, რომელნიც დაიპყრეს ვით აღმაშენებელმა და გიორგი მე-3) იღვენ მცველად ქართველნი სპანი.

თუმცა ძალიან გვსურდა გამოგვეძია, რა სიკეთისა და სადა და სად მიმავალი გზები იყო მაშინ და ეშვსაბამებოდენ თუ არა სამხედრო საჭიროებასა. მაგრამ საკმაო ცნობანი ვე ვიპოვეთ ჩვენს მატთანში. ხოლო უკეთეს სახეში მივიღებთ ზოგიერთ სიტყვათა დავით აღმაშენებელის ცხოვრების აღმწერელისას („რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყენა“) და სისწრაფეს, რა სისწრაფითაც ეს მეფე თავს უყრიდა ხოლმე ჯარს და იმერეთიდან ალგეთსა, ხრამსა, დებედს, კახეთს უმალ გადად-გადმოდიოდა ჯარითა. ადვილად საფიქრებელია, რომ გზა იმერეთიდან ვადმომავალი ლიხის მთაზედ და მთელ ქართლზედ და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ, კარგი და თავის დანიშნულების შესაფერი ყოფილა. მართლა რომ ესე უნდა ყოფილიყო. რადგანაც იომდენა ჯარი მოძრაობდა და თან გადაჰქონდ-გადმოჰქონდათ ბარგი-ბარხანა, სურსათი, ტარონი და ფილაქოვანი.

საერისთაოს სპის სპასალარი იყო თვითონ ერისთავი. რამდენიმე დასი და რაზმი შეადგენდა სპასა. რაზმისა და დასისა უფროსნი იყვნენ თავადის-შვილნი ანუ აზნაურნი. დასი და რაზმი ეშვსაბამებოდა ახლანდელ როტასა და ბატალიონსა. სპანი სრულიად საქართველოსა შეადგენდენ ლაშქარსა, რომლის უმფროსიც იყო ამირ-სპასალარი. ამირ სპასალარად იყო თვითონ დავით აღმაშენებელი, გიორგისა და თამარის დროს კი იყო პირველად იოანე ორბელი, შემდეგ სარქის მხარგრძელი, მერე გამრეკელი და ზაქარია მხარგრძელი. ზაქარია მხარგრძელისათაჲ ამირ-სპასალარი საქართველოს არ ჰყოლია. მის ამირ-სპასალარობის დროს გაიმარჯვეს ქართველებმა ორ ჩინებულ ომში: 1203 წ. შამქორის. სადაც 90 ათასმა თამარ მეფის მხედარმა დაამარცხა მაჰმადიანები ჯარის. რომელიც შეკრბა ხალიფის დროშის სახელით შუა-მდინარეთიდან ინდოეთის სამზღვრამდე და 1204 წ. — ბოლოსტიკის ომში. სადაც ქართველებმა გაიმარჯვეს ასურეთის სულტან ნუქარდინზედ, რომელიცაც

ჰყვანდა ამ ომში ურიცხვი მეომარი („ქართ. ცხოვ.“, გვ. 318 და 319).

დასთა და რაზმთა საომარი წყობილება იყო შემდეგი: წინ დადგებოდა ხოლმე უფროსი, მას უკან — რამდენიმე აღმორჩეულნი სიჰნითა მეომარნი და მერე სხვანიცა. ამ ნაირს დაწყობასა უწოდებდენ **სოლებრივს დარაზმულობად**. რამდენიმე სოლებრივ დაწყობილნი რაზმნი შეადგენდენ საომარ წყობას სპისას. **სატაკტიკო** (საომარი) ნაკლულოვანება სოლებრივი დარაზმულობისა მდგომარეობს იმაში, რომ უმთავრესი მნიშვნელობა მხოლოდ წინა წვერსა აქვს: თუ რაზმის უფროსი არ არის ღირსი თავადობისა (ესე ხშირად მოხდება დიდ ლაშქარში. ანუ პირველადვე თუ დაიხოცნენ წინა წვერსა მდგომნი მეომარნი, მაშინ სხვანი მეომარნი რაზმისა ვერ განაგრძობენ ომსა და მტერი ადვილად გაიმარჯვებს მათზედა. სხვა ნაკლულოვანებაც აქვს სოლებრივ დარაზმულობასა; მაგრამ ქართველნი იმ სახელოვან დროისა ამ-ნაირს საომარს წყობას ხმარობდენ მარტო დასსა და რაზმში და არა მთელ ლაშქარში, როგორცა სხვანი მაშრიყელნი. — მთელის ლაშქრის დარაზმულობა კი ჩვენში სხვა გვარი იყო ე. ი. ბიზანტური წესისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, რომაულისა, რომელსაც ეძახიან ესრედ **წოდებულსკლასიკურ მწკრივებრივს ტაკტიკას**. ამ წესით რამდენიმე ლეგიონი დაეწყობოდა ხოლმე ერთს ანუ ორ მწკრივად. ყოველი ლეგიონი შეიცავდა **კოგორტებს** და იყო დაწყობილი ჭანდრაკის წესით. ორთავ მწკრივის ლეგიონთა რიცხვი იყო თანასწორი. პირველა მწკრივი შესდგებოდა ორის, სამის ან ოთხის ლეგიონისაგან ჯარის რაოდენობის მიხედვითა და იერიშით მიდიოდა, ხოლო უკეთუ ეს მწკრივი აღემატებოდა სიგრძით მოწინააღმდეგის რაზმს, გაშლიდა ფრთებს და მოხვევდა ორთავ მხრით მტერსა. მეორე მწკრივი ქომაგობდა პირველს. ამ გვარს ჯარის წყობილებასა თავისი ნაკლულოვანებაცა აქვს: პირველად, ამისათვის საჭიროა, რომ თავისუფლად იმოქმედოს ლაშქარმა და ვრცელი ადგილი ედოს წინ გაშლილი. მეორედ, ორივე მწკრივი ერთსა და იმავე დროს იბრძვიან, ამის გამო სხვა-დასხვა შემთხვევა, როგორც მაგალითად დასვენებული სპის უეცარი თავდასხმა, ანუ დამარცხება ერთ-ერთის მწკრივის ფრთად გა-

შლილის წვერისა ცუდათ მოქმედობს ჯარზედ და ხელიდან აცლის მარჯვენას. რომაელთ **მწკრივებრივი ტაკტიკა** ქართველებმა ბიზანტიელთაგან გადმოიღეს, მაგრამ შესამჩნევად შესცვალეს. ქართველების საზოგადო ლაშქართ დარაზმულობა შესდგებოდა **სამის მწკრივისაგან**.

პირველ მწკრივს შეადგენდა მოწინავე ანუ უკეთ ვსთქვათ **წინამბრძოლი** ჯარი; მეორეს — **თავი და თავი** ანუ **ყოლბი ჯარი** (ყოლბი ჯარი იმ ჯარსა ჰქვიან, რომელიც წინამბრძოლისა და მასშველი ჯარის შუა სდგას) და მესამეს — **მასშველი** ჯარი. თუ რომ ომი მოხდებოდა, ჯარის გზად ყოფნის დროს მტერთან უეცრად შეჯახების გამო, წინამბრძოლი ჯარი გაიშლებოდა და დაიწყებდა ომს თავი-და-თავი ჯარის თვალ წინ. უკეთუ ომი წინადვე მოსაზრებული იყო და დაიწყებოდა მთელის ლაშქრის ბანაკის ახლოს, მაშინ წინამბრძოლი ჯარი მაინც უეჭველად **პირველ მიმსვლელ - მცემელ** მწკრივს შეადგენდა და ყველაზედ უწინარეს დაიწყებდა ბრძოლას. წინამბრძოლი ჯარი ყოველთვის და უცვლელად ერთგვარად შესდგებოდა. წინამბრძოლ და პირველ მიმსვლელ მცემელ ჯარად იყვნენ შესხნი, ანუ ქართველნი შემდეგ საერისთავოთა: სამცხისა, ჯავახეთისა, წუნაგოისა და კლარჯეთისა, რომელნიც შეიცავდნენ მტკვრის სათავესა და ჭოროხის ხეობასა. წინამბრძოლ ჯარში შერიცხვა სხვა მეომართა აღძრავდა დრტვინვას მესხებისას. უკმაყოფილებას და თვით ურჩობასაც და მხოლოდ ხანდახან წინამბრძოლი ჯარის გასაძრიებლად მიუმატებდნენ ხოლმე იმ სპას, რომელიც პირდა-პირ ექვემდებარებოდა ამირ-სპასალარს, როდესაც ეს უკანასკნელი წინ იყო. ხოლოდ ეს მოხდებოდა ხოლმე მაშინ, როდესაც მეფე იმყოფებოდა დანარჩენ ჯართან.

მეორე მწკრივს შეადგენდა თავი-და-თავი ჯარი, რომელსაც მემარჯვენედ აბზაზ-იმერეთის ჯარი ედგა და მემარცხენედ ამერნი („ქართლის ცხოვრებაში“ ბევრგან შეხვდებით: „განაწყეს რაზმი წესისაებრ ვითარცა განჩენილ არს თემთა და თემთა“ ანუ: „იყვნენ ერთ კერძო — აფხაზნი და ერთ კერძო — ამერნი“. გვ. 306 და 321). ეს წესიც დაურღვეველი იყო. ესე იგი, აბზაზნი არ დადგებოდნენ მემარცხენედ და საზო-

გაღოთ ადგილის შეცვლა საომარ დარაზმულობაში აღკრძალული იყუ, მეორე მწკრივი ხუთჯერ და ექვსჯერ აღმეტებოდა პირველ მწკრივსა და წარმოადგენდა პირ-და-პირ ქომავს უკანასკნელისას.

მუდმივი ჯარი ანუ **როქის სპა** და ქართლის ჯარის ნაწილი სეთ: დროშითურთ, რომელსაც მეფე ჰყავდა მოთავედ, წარმოადგენდა მესამე მაშველ მწკრივს, და დაეწყობოდა მეორე მწკრივიდამ ისეთს მანძილზედ რომ შესაძლებიყო თვალ-ყური ეღეენა პირველი ორი მწკრივის ბრძოლის მსვლელობისათვის.

ამ სახით, უკეთუ მოვიგონებთ წინათ ჩვენ მიერ ნათქვამს, რომ მაშინდელ საქართველოს სამეფოს ზურგით მთავარი კავკასიის ქედი ჰქონდა, წინ სამხრეთი სამზღვარი და გავიხსენებთ იმ ადგილს, რომელიც ეჭირა სხვა-და-სხვა სპას პირველის ორის საომარ მწკრივისას, ცხადი იქნება, რომ ქართველთ საომარი დარაზმულობა ემესაბამებოდა საქართველოს ტომთ თემად-და-თემად განაწილებას. აბხაზ-იმერეთის საერთავონი იმყოფებოდენ სამეფოს დასავლეთ მხარეზედ, ანუ მარჯვენით კერძო. მათი ჯარიც იჭერდა მარჯვენა კერძოს მეორე მწკრივისას. ქართლი, კახეთი და საქართველოს სომხითი იყენენ ლიხის მთის აღმოსავლეთით და მათი ჯარიც იჭერდა იმავე მწკრივის მხარეს მარცხენით კერძო. საერისთაონი მტკვრის სათავისა და ჭოროხის მდინარისა, როგორც წინ მდებარენი, თავის ჯარს აყენებდენ პირველ-მომსვლელ-მცემელ მწკრივად. ნაწილი ქართლის ჯარისა, როგორც უხუცესთ უხუცესის საქართველოს თემისა იდვა სეფე-დროშის ქვეშ როქის სპის გვერდით. სხვა-და-სხვა თემის ჯართა ადგილი სხვაფრივაც განიმარტება ე. ი. ისტორიულად. ის დრო საქართველოს ბრწყინვალეებისა, რომელზედაც ჩვენ ულაპარაკობთ, შექმნეს აბხაზ-იმერეთის ბაგრატიონებმა. მათ დაიწყეს საქართველოს გაერთიანება დასავლეთით. პირველად ბაგატ მე-4 შეუერთა აბხაზ-იმერეთის სამეფოს ქართლი და მერე დავით აღმაშენებელმა — კახეთი და თბილისი სომხეთითურთ, რომელსაც ფლობდენ თბილისთან ერთად დროებათად არაბნი, და უწოდებდენ მას თბილისის საამიროს. იმის და მიხედვით, როგორც შეიერთებდა აბხაზ-იმე-

რეთის სამეფო სხვა და სხვა თემთ, ისე სპა მათგან გამოყვანილი იქნებოდა და ადგილს მეორე საომარ მწკრივისას მარჯვნიდან მარცხნივ ზედ-მოყოლებით.

ჩვენ მიერ აღწერილ საომარ დარაზმულობას აქვს თავისი ტაქტიკური ნაკლულოვანებანი, რომელთ რიცხვში უნდა მოვიხსენოთ სხვათა-შორის მუდამ ერთი და იგივე შედეგნილობა წინა მებრძოლი ჯარისა და პირველი საომარი მწკრივისა, რომელსაც, ხანგრძლივის ლაშქრობის დროს, თუ მაგიერობა არ გაუწია ნებიერად მიმდევმან სპამან, იგი ილღება, ირღვევა და ამისათვის ვერ სძლებს თავის მოვალეობის შესრულებას — მუდამ დარაჯად დგომა. მზად ყოფნას მებრძოლებისათვის, გარემოებათა მიხედვით, და სხვ. მაგრამ ქართველთ დარაზმულობას შესაძინევი ღირსებანიც აქვს. პირველი და მთავარი ღირსება ის არის, რომ იგი თავის დედა-აზრით ძალიან წააგავს თანამედროვე ევროპიულ ტაქტიკას, რომლის აუცილებელი მოთხოვნილებაა მაშველი ჯარი ჰყავდეს დასათრგუნავად და შესასუსტებლად ომის დროს უეცრივ მოვლენილ სხვა-და-სხვა შემთხვევათა; მეორე — ეგრე დაჩემებული ადგილი საომარ წყობაში ყოვლის სპისა მიერ ლაშქრობის დროს ახალისებს და აქეზებს მეომართ ერთი-ერთმანეთის წინაშე და იძულებულ ჰყოფს მხნედ ბრძოლად, რომ ღირსეულად ატარონ სახელი თავიანთ მამა-პაპათა, რომელთაც უკვე, იმავე ადგილებში უომნიათ და მოუხვეჭიათ სახელი და დიდება.

ყოველივე ჩვენ მიერ თქმული საქართველოს სამხედრო წყობილებაზედ, მის საომარ აღკაზმა-დარაზმულობაზედ დარჩება დაუმტკიცებელი, ლიტონი სიტყვა იქნება, უკეთუ ჩვენ არ მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს.

რომ შეადგინოს კაცმა აზრი მასზედ, თუ რა სისწრაფით გადადგამოდოდა ქართველთ ლაშქარი ერთი ადგილიდამ მეორეზედ, რა მდგომარეობაში იყო გზები, მიმავალი იმერეთიდან ქართლსა და სამცხეს, და დავით აღმაშენებელის არა მცირედს სამხედრო ნიჭიერებაზედ, საჭიროა განვიხილოთ საომარი მოქმედებანი მისნი 1122 წელს.

დავითის მუდმივი გამარჯვება, სწრაფად და მედგრად მტერზე დასასხმელად მოვლინება მისი იმერეთიდან, იყო მიზეზი, რომ დავითმა იენის 1121 წ. სრულიად განსწმინდა სივრცე თბილისიდან გურგენის ზღვამდინ თურქთა-სელჯუკთა ურდოთაგან. ის არ ერიდებოდა არც წყალ-დიდობას, არც ზამთარს და არც დათოვლილს გზებს. ისე რომ თურქნი გადარჩნენ მხოლოდ სამს ქალაქში; თბილისში, განჯაში და დმანისში. ამ ქალაქების მოსლემინობამ გაუგზავნა მოციქულნი სელჯუკთა სულთანს, რომელიც ბაღდადის ხალიფას სახელობით განაგებდა მთელს მოსლემანობას მაშინდელი აზიისას; მოციქულთა სთხოვეს მფარველობა და შემწეობა წინააღმდეგ „მათა და ტყეთა მეფისა“, როგორც იგინი ეძახდნენ დავითსა. სულთანი გულმხურვალედ მოეკიდა საქმეს; მან უბრძანა თავის საუკეთესო სპასალარებს დებოიზს და ელგუზის აღემბედრნათ მთლად მუსულმანობა აღებოდან დაწყებული სპარსეთის აღმოსავლეთ სამზღვრამდე და გალაშქრებულ იყვნენ მათთვის საზიხლარ საქართველოს წინააღმდეგ. ეს ლაშქარი თავს იყრიდა ათი თვის განმავლობაში და მხოლოდ ზაფხულს 1122 წ. დადგა გზად ჩრდილოდ კერძო საქართველოს სამზღვრების. რაოდენობა ამ ლაშქრისა სულ ნაკლების ანგარიშით 200 000 ადიოდა. ეს რიცხვი გაზვიადებული არ იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ორი უძლიერესი მფლობელი, სპარსელი დებოიზი და აღებოელი ელგუზი წინამძღვრობდნენ ლაშქრობას; რომ ჯვაროსანთა წინააღმდეგ მარტო სირიელ სელჯუკთ 100 000-ზე მეტი მეომარი გამოჰყავდათ. ამ გვარი ლაშქრის რაოდენობა მით უფრო დიდი იყო, რომ სელჯუკნი, როცა შორს ქვეყანაში მიდიოდნენ საომრად, თან მიჰქონდათ, როგორც უკვე მოვიხსენეთ, ყოველივე თავისი მოძრავი ქონება, რომლისა მცველნი, მონანი და მხლებელნი და სხვა არა მეომართ სიმრავლე მათ ლაშქრითს რაოდენობას მტრისათვის მეტად აჩენდა. იენისის გასულს 1122 წელს ყველა ურდონი **დებოიზისა** და **ელგუზისა** გამოვიდნენ მდინარე არაქსს, და დაიჭირეს ეხლანდელი ერეგენის გუბერნიის სამზღვრები. მეფე დავით ამ დროს იმერეთში იმყოფებოდა; მან იცოდა, რომ მტერი ახლოს იყო, თავის მხრითაც ემზადებოდა. მზგ-

რამ არ ჩქარობდა კია. ოცის წლის ომების გამოცდილებით მან შეისწავლა თავისი მოწინააღმდეგე. არაქსიდან თრიალეთის ქედამდე ე. ი. ქართლის სამხრეთ სამზღვრამდე, 300 ვერსის მანძილზედ, სადაც სომხეთის მდიდარი ქალაქები. ანი, დოვინი და სხვანი იყვნენ, სელჯუკნი უნდა მისცემოდენ თავიანთ ჩვეულებრივ მოქმედებას მტრის ქვეყნის შესახებ. ივინი, როცა ქვეყნის ასაკლებად მიდიოდენ, სულ მთლად მტრის ქვეყანას მოედებოდნენ; მერე დაყოფილნი ოთხ ტოლ-ტოლ ჯგუფად რომელსამე შუა-გულ ადგილიდან აქეთ-იქით გაესეოდენ ხოლმე. თვითეული ამ ჯგუფთაგანი, მოშორდებოდა თუ არა შუა-გულ ადგილას, იყოფოდა ოთხ ტოლ ნაწილად და სხ. ამ სახით პირვანდელი ურდო, თან და თან უფრო-და-უფრო პატარა ნაწილებად დაყოფილი, სულ ბოლოს 2, 000 ან 3, 000 კაცისაგან შემდგარ მცირე რაზმებად გადიქცეოდა და გაიფანტებოდა ხოლმე მთელს მხარეზედ. ესე გვარი წესი კარგია მტრის ქვეყნის სრულიად გაძარცვისა და დამხობისათვის; მაგრამ ტაქტიკურის მხრით არაფრად არ ვარგა.

უკეთუ შესაძლებელია ასცილდე პირვანდელ დიდ ლაშქარს, და დააცადო მას დაკნინება პატარ-პატარა ჯგუფებად, რასაკვირველია, ადვილია მისი ნაწილ-ნაწილ დამარცხება, ოღონდ ამ შემთხვევაშიაც საჭიროა მხნეობა და სწრაფი მოქმედება. დავით ლოდინით არას ჰკარგავდა. სელჯუკნი ააოხრებდენ მხოლოდ სასომხეთოს არაქსიდამ დაწყობილი თრიალეთამდე არაქსის მარცხნივ, რაც საქართველოს ნაწილს არ შეადგენდა, საქართველოს სომხითს, რომელიც თბილისისა და დმანისითურთ ეკუთვნოდა თბილისის ამირს და სადაც დავითს არა ეპყრა რა, გარდა ახლად მის მიერ დაპყრობილის ორის ციხისა მდ. ხრამის შესართავთან, სახელად სამშვილდისა და რუსთავისა. მართლაც აგვისტომდე მოსლემინთა ურდომ მოაღწია თრიალეთის მთებამდე და მოაოხრა ყოველივე, რის მოოხრებაც კი შეეძლო.

თ. თათარ ყან დადიშკელიანი

(დღესასრული იქნება)

შინაარსი:

	33
† პროკოფი აბულაძე ---	3
იუნკერთა საერთო მეგობრის ხსოვნას ---	4
(უსათაურო) ლექსი --- პროკოფი აბულაძე ---	5
წითელი არმია --- კაჟი	7
ომის მსხვერპლი და ერის ზრდა --- ვ. მოძველი	19
სამხედრო სასამართლოს რეფორმა საფრანგეთში --- ალ. ყ---ი	22
არტილერია, მისი დანიშნულება და გამოყენება თანამედროვე ბრძოლაში --- ლ. მ. ---	42
მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა 1089 --- 1222 წლამდე --- --- თ. თათარ ყან დადიშკელიანი	50

დაისტამბა და იყიდება

**კავკასიონი**

წიგნი მემჭვსე

136 გვერდი --- ფასი 10 ფრანკი

„მხედარი“-ს მისამართი:

Mkedari. 47. Rue Chardon Lagache --- Paris, XVI<sup>e</sup>

Imp. **BASILE**, 1, villa Chauvelot, Paris --- 15'